# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№27 (1537) 20–22 მარტი, 1997 წელი

## აფხაზეთის „პრეზიდენტი" თითს უქნევს საქართველოს პრეზიდენტს

გუშინ, არაოფიციალური წყაროებიდან, ჩვენს ხელთ აღმოჩნდა არძინბას მიერ საქართველოს პრეზიდენტისადმი გამოგზავნილი წერილი. ჩვენთვის უცნობია, თვითმარქვია „პრეზიდენტის" წერილებს ანიჭებს თუ არა რაიმე მნიშვნელობას ბატონი ე.შევარდნაძე, მაგრამ, ვფიქრობთ, „საქართველოს" მკითხველებისათვის უინტერესო არ იქნება, თუ რა ტონით, როგორი მუქარით გველაპარაკება სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელზეც, საცა სამართალია, სანქცია კაი ხნის გაცემული უნდა იყოს, განაჩენიც გამოტანილი და კარგა ხნის აღსრულებულიც.

როდის ელირსება სამართლიანობის ზეიმი იმ სამოცი ათას ქართველს, რომელთაც ამ წერილში ძქევლებად აყვანით ემუქრება არძინბა?

მეორე გვერდზე გთავაზობთ თვითმარქვიას წერილის ტექსტს.



## ჩვენი „დინამო" პორტუში რომ ჩავიდა, უკვე ცხრა ფეხბურთელი აყვანდათ გაყიდული

6



## აფხაზეთის დაბრუნება აუცილებელია, ჩვენი სიცოცხლე კი სულაც არ არის აუცილებელი...

## გაბედე, თუ გინდა, გადარჩე!..

3

## საით მიდის საქართველო?

4




მ. აბაშიძის ნახატი

21 მარტს აღინიშნება ქართული ჟურნალისტიკის დღე. გილოცავთ, ძვირფასო კოლეგებო!

### ჯაბა იოსელიანის ჯანმრთელობა შერყეულია

პატიმრობაში მყოფი ჯაბა იოსელიანის ჯანმრთელობა შერყეულია – განუცხადა BGI-ის კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ელენე თევდორაძემ. მისი თქმით, იოსელიანს მაღალი წნევა აქვს, კუჭის წყლული და პროსტატიტი აწუხებს. იოსელიანის ჯანმრთელობას ექიმები აფასებენ თვალყურს. მას უფლება აქვს 15 წუთი სუფთა ჰაერზე ისეირნოს ყოველ დღე. პატიმრობის პირველი სამი თვის განმავლობაში იოსელიანი ცუდ პირობებში ყავდათ, რაც აისახა კიდეც მის ჯანმრთელობაზე, – აღნიშნა თევდორაძემ.

### ბარამიძე არასწორ პოლიტიკას აწარმოებს

პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში გოგლა ბარამიძე არასწორ პოლიტიკას აწარმოებს – ასე შეაფასა პარლამენტის სხდომაზე გოგლა ბარამიძის მოღვაწეობა დეპუტატმა გოჩა ნათენაძემ. ის თვლის, რომ მაშინ, როცა ახალციხეში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა, არ შეიძლება თამარ მეფის ძეგლის მშენებლობაზე 500 ათასი ლარის გამოყოფა. გოჩა ნათენაძის თქმით, ეს თანხა ახალციხის რაიონის ბიუჯეტის ნახევარს შეადგენს. მსგავსი პოლიტიკა კარგ შედეგებს ვერ მოიტანს, – აღნიშნა დეპუტატმა. (BGI)

### „ჩვენ უკვე განწირულნი ვართ"

გუშინ შიმშილობის აქციის მონაწილეები მოინახულეს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებმა. როგორც შეხვედრაზე აქციის ხელმძღვანელმა, საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი"-ს თავმჯდომარემ გ.ფაცაციამ განაცხადა, 18 დღის შიმშილობის აქციამ დაადასტურა, რომ პარლამენტი აღარ განიხილავს მოშიმშილეთა მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტს, ხოლო პრეზიდენტი კი დაგეგმილ სამიტზე არაფერს არ გადაწყვეტს. „ჩვენ უკვე განწირულნი ვართ. ასევე განწირულია ის ზნეობა და მიზანი, რისთვისაც ჩვენ 18 დღეა ვშიმშილობთ და კიდევ ვიშიმშილებთ", – განაცხადა მან. მისივე თქმით, პარლამენტმა სრული იგნორირება გაუკეთა მოშიმშილეთა მოთხოვნებს. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებმა გაიზიარეს მოშიმშილეთა პოზიცია და აქციის მონაწილეებს აღუთქვეს, რომ აღნიშნული საკითხი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სპეციალური მსჯელობის საგანი გახდება. (იფრინდა)

## აფხაზეთის „პრეზიდენტი“ თითს უქნევს საქართველოს პრეზიდენტს

# ПРЕЗИДЕНТУ ГРУЗИИ г-ну ШЕВАРДНАДЗЕ

Уважаемый Эдуард Амбросиевич!

В распоряжении Органов Государственной Власти Республики Абхазия находится информация, свидетельствующая о том, что в Галский район введено значительное число грузинских диверсионно-территористических групп, оснащенных, в частности, новейшими средствами минирования. На них спецслужбами Грузии возложена реализация комплексного плана по дестабилизации положения в этом регионе. Детали плана согласовывались на совещании в Тбилиси, куда были приглашены командиры вооруженных формирований, засылаемых в Абхазию.

Таким образом необъявленная террористическая война, на протяжении трех лет ведущаяся спецслужбами Грузии против Республики Абхазия, продолжается и в любой момент может достичь той критической грани, за которой последует прямое столкновение вооруженных сил Абхазии и Грузии. В результате будут ликвидированы все соглашения, достигнутые в ходе длительного переговорного процесса, проходящего под эгидом ООН и при посредничестве Российской Федерации. Вся ответственность за такое развитие событий ляжет на руководство Грузии.

Нельзя не отметить тот факт, что диверсионно-террористические акции проводятся в регионе, в который вернулось более 60 тысяч беженцев, желающих наладить мирную жизнь. Фактически руководство Грузии, на словах выражающее заботу об этих людях, превратило их в заложников собственной политики, что неоднократно находило подтверждение и в годы грузино-абхазской войны, и в настоящий период. Препятствуя налаживание нормальной жизни в Галском районе, население которого имеет тесные родственные и экономические связи с жителями Западной Грузии, грузинские власти еще раз демонстрируют пренебрежительное отношение к судьбам ни в чем неповинных людей.

Призываю Вас принять конкретные меры по прекращению использования террора и других силовых методов в отношении Республики Абхазия. Это является важнейшим условием сохранения позитивных сдвигов, наметившихся в результате переговоров и прямых контрактов сторон и залогом дальнейшего конструктивного развития грузино-абхазского диалога.

Провительство Республики Абхазия располагает широкими возможностями для защиты интересов и безопастности нашего государства. Однако следует учитывать, что от взаимоотношений Республики Абхазия и Грузии во многом зависит политическая и экономическая стабильность в Закавказье и во всем Черноморском бассейне, а также перспективы прогрессивного развития данного региона.

ПРЕЗИДЕНТ В. АРДЗИНБА

г. Сухум
"17" марта 1997 года
исх. 11 38

# რამდენი დევნილია აფხაზეთიდან

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, დღეს აფხაზეთიდან დევნილია 340000 ქართველი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. აქედან საქართველოში 250000, ხოლო რუსეთში 70000 კაცი ცხოვრობს.

## ასეთია «სამშვიდობო» შედეგი

რუსეთის სამშვიდობო ძალების შესვლის შემდეგ აფხაზეთში დახვრიტეს და აწამეს 10340 ქართველი. სამშვიდობო ჯარები აფხაზების ყველა დამსჯელ ოპერაციაში იღებენ მონაწილეობას. რუსეთის სამშვიდობო ძალები აწარმოებენ აფხაზეთის ტერიტორიის ძარცვას: გააქვთ მეტალი, ბაზალტი და სხვა კონტრაბანდა. ხელს უწყობენ და ვაჭრობენ ნარკოტიკული ნივთიერებებით.

## რამდენი კაცი დარჩა აფხაზეთში

ომამდე აფხაზეთში 525000 აფხაზი ცხოვრობდა. ამჟამად მხოლოდ 100000-ია, დანარჩენი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში.

# დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

## მე-16 დღე, 17 მარტი, ორშაბათი

### მიტინგი

დღის 2 საათზე სასტუმრო „ივერიასთან“ შეიკრიბნენ მოქალაქეები აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან, რუსთაველიდან და თბილისიდან. მიტინგი ხალხმრავალი იყო. შეკრებილებს სიტყვით მიმართეს გერმანე ფაცაციამ, თორნიკე ფიფიამ და გენო კალანდიამ.

გერმანე ფაცაციამ წაიკითხა პარლამენტის სესიაზე გასატანი დადგენილების კანონ-პროექტი. დიდი მადლობა გადაგვიხადა მას მედიის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც იგი გაავრცელეს. ხოლო შეკრებილ ლტოლვილებს მიმართა: „თუ ვინმე, ვინც არ უნდა იყოს ის, დევნილების სახელით ამბობს, ჩვენი მტრები ღელეღელე და მდინარე-მდინარე გადაანაცვლონ, უმჯობესი იქნება, ჩვენში უამრავი გეოგრაფიის მასწავლებელია და ისინი მიუჩინოთ, რათა ისწავლონ მდინარეებისა და რუების სახელები“.

გენო კალანდიას მისასალმებელი სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მას მიკროფონი გამოართვა დევნილთა საბჭოს მხცოვანმა წევრმა დესპან ლატარიამ და მოითხოვა ნადარეიშვილ-ერქვანიას მომიტინგეებთან მოსვლა. ხალხი აღელდა და ერთხმად ითხოვდა მოშიმშილეთა მაგივრად „მჭამელების“ მიტინგზე მოყვანას. თორნიკე ფიფიამ უთხრა მათ, რომ მოშიმშილეები კომპრომისზე არ წავლენ და პარლამენტი მიიღებს მათთვის საჭირო გადაწყვეტილებას. ხალხი მაინც ღელავდა.

ამავე დღეს რამდენიმე კითხვით მივმართე ბორის კაკუბავას.

### ბორის კაკუბავა: საქართველოში განხეთქილების ვაშლები ისევ გორავს...

– ჩვენი მოთხოვნაა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან უპირობოდ გავიდეს რუსის ჯარი. „სამშვიდობოს“ შეარქმევენ, „სტრატეგიულს“ თუ „სადაზვერვოს“, ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს – მითხრა მან.

*– ეროვნული მოძრაობის ზოგი ორგანიზაცია უკმაყოფილოა თქვენი გადაწყვეტილებით, რადგან მოთხოვნა მხოლოდ აფხაზეთ-სამაჩაბლოს ეხება.*



– კი, იძახიან, რატომ მთელ საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანაზე არ იბრძვითო. კი, ბატონო, მაგრამ ეს უნდა დაიყოს ეტაპებად. საქართველო უნდა დატოვოს რუსის ჯარმა, ჩვენზე ადრე ამას ვინ ამბობდა? ჩვენ ჩვენ თავზე ვიწვნიეთ ყველაფერი, რა არის რუსეთი და რუსეთის ჯარი. 30000 დახოცეს და 300000 მათხოვრად გვაქციეს. მაგრამ ჩვენ რეალისტები ვართ. რომ დავიწყო ზოგადქართული მოძრაობა საქართველოს დეოკუპაციისთვის, ვაზიანიდან და ბათუმიდან დავიწყო ჯარის გაყვანა და ამ პერიოდში ეს უუფლებო ხალხი გამიწყდეს? დავიწყოთ იქედან, დავაბრუნოთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხალხი. ამოისუნთქოს ხალხმა, დაიწყოს ცხოვრება და სიცოცხლე. იმ ბაზებიდან დავიწყოთ და მერე გადავიდეთ დანარჩენ საქართველოზე. საქართველოდან კი არა, რუსის ჯარი კავკასიიდან უნდა გავიყვანოთ. ამიტომ ვთხოვეთ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას მხარში ამოდგომა. მათ კი რატომღაც არჩიეს ჩვენი მოთხოვნის გაკრიტიკება, ვითომ მათ უკეთესი ვარიანტები აქვთ საქართველოს დეოკუპაციის. ამ დროს გამოჩნდა მათი სახე, რომ ის სამასი ათასი დევნილის ბედი მათთვის სულერთია, არ ფიქრობენ ამაზე.

*– ნოდარ ნათაძე ხომ გიჭერთ მხარს?*

– მთლიანად მხარდამჭერი ჯერ ვერავინ ვნახე მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა პარტიამ გამოგვიგზავნა მხარდამჭერი მიმართვები, როდესაც ინტერპარტიული შეკრებები ჩატარდა. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჩვენ არაფერში გვადგება. ადგნენ და ჭკუის სწავლა-ანალიზი დაგვიწყეს, როგორ უნდა ჩავატაროთ აქცია და რა უნდა მოვითხოვოთ.

*– აბა თქვენ რა გსურდათ?*

– ჩვენ მათ ვთხოვეთ, თუ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დევნილი ყველა პარტია გაერთიანდა. ყველა წარსული წყენა დავივიწყეთ და ვთქვით, რომ სანამ სახლებში არ დავბრუნდებით, ამაზე ლაპარაკი არ იყოს, ამ ერთი მიზნის გარშემო გავერთიანდით. თუ ეს ჩვენ მოვახერხეთ, რატომ არ ახერხებს ამას დანარჩენი საქართველო? ჩვენ ვეუბნებით მათ: გაერთიანდით თქვენც, დაივიწყეთ ერთმანეთის წყენა, გაერთიანდით საქართველოს დეოკუპაციის მიზნით, არ წამოწიოთ სხვა პრობლემა. არ თქვათ, ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, აღდგეს ძველი, თუ იყოს ახალი. არ თქვათ ეს, გაერთიანდით საქართველოს და კავკასიის დეოკუპაციის მიზნით. ეს არ მოუნდათ და არ აიღეს თავის თავზე. ისევ მიდის ლაპარაკი, არა ეს უნდა იყოს; არა, ის ძველი უნდა აღდგეს; არა, ახალი უნდა მოვიდეს. სანამ ასეთი საუბარი იქნება და განხეთქილების ეს ვაშლი ტრიალებს, მანამდე საქართველოში სტაბილიზაცია და ძლიერება არ იქნება და ვერც მე დამეხმარებიან. ისინი ხელის შეშლის მეტს არაფერს გააკეთებენ.

*– რატომ?*

– დევნილი მოსახლეობა როდესაც აუცილებლად შეიკრიბება თბილისში, თუ მათ თავიანთი პრობლემების წამოწევა დაიწყეს და ხელისუფლებებზე ჩხუბი, ჩვენ ისევ ვერ მივაღწევთ მიზანს. კი, ამბობენ, რომ სანამ ეს ხელისუფლებაა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მიუღწევადია. მაგრამ მე ვთვლი, რომ ამ ხელისუფლებასთან არაფერი მაქვს საერთო, მაგრამ მე ვაიძულებ, რომ მან რუსის ჯარი გაიყვანოს ამ ტერიტორიებიდან. ამ აქციით, ამ შიმშილობით მე მას ვაიძულებ. მსოფლიოს დავანახებ, რომ აქ მე თავს ვიკლავ, რათა ხელისუფლებამ რუსის ჯარი გაიყვანოს და ხალხი გადაირჩინოს. ჩემი სიცოცხლე თუ შეეწირა ამ ხალხის გადარჩენას, ეს ხომ დიდებაა. ამაზე დიდი და საოცნებო ადამიანისათვის რა უნდა იყოს? საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებს რატომ არ უნდათ თავისი სიცოცხლე შესწირონ საქართველოს გამთლიანებას და დეოკუპაციას? იმიტომ, რომ თავის პიროვნულს წინ წევენ და არის ერთმანეთში გაქაჩვა-გამოქაჩვა. ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა მათგანის პარტიაში არის ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც არ უშვებს მათ ერთმანეთთან გაერთიანებისკენ.

*– თქვენთან არ არის?*

– ჩვენთანაც არის. სული მისდით, ურუსეთოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ, მაგრამ ჩვენი ხმა მეტია. აფხაზეთის ხელისუფლების ის წარმომადგენელი, რომელიც აცხადებს, რომ მისთვის მისაღებია საოკუპაციო ჯარის გადაწევა ღალიძგამდე, ან მანდატის გაფართოებაა მისაღები და ამ გზით ჩვენ მოსახლეობას დავაბრუნებთ, ეს არის მისი პირადი, უბადრუკი აზრები. ეს არ არის ხალხის აზრი, ხალხს ეს არ უნდა. ხალხი მათ ჩაქოლავს. როდესაც აქ ხალხი შეიკრიბება, ისინი მათ მოთხოვენ პასუხს, ვისი სახელით ვაჭრობდა, ვინ დაავალა მას, რომელმა დევნილმა უთხრა მას: შენ ღალიძგამდე გადაწიე რუსი და შენ ამ აფხაზეთის სახელმწიფოში შემიშვი, რათა რუსმა დამიცვას აფხაზისგანო. ვინ დაავალა მას? ხალხს ეს არ დაუვალებია და ხალხი მოთხოვს მას პასუხს.

## შიმშილობის მე-17 დღე, 18 მარტი, სამშაბათი

როგორც ეტყობა, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო სერიოზულად არ უყურებს შიმშილობის აქციას. მიუხედავად მისელამონახულებისა და თანადგომის გამოცხადებისა, მათი საკითხი ადგილიდან არ იძვრის. მერე რა, რომ მესამე კვირაა მათი კოლეგები შიმშილით იკლავენ თავს, სხვა დეპუტატებს ეს ნაკლებად აღელვებთ. ან ფიქრობენ, შეუცვლელი ამ ქვეყნად არავინ არააო, ან ეჭვი ეპარებათ მათ კეთილსინდისიერებაში. ზოგი ალბათ იმასაც ფიქრობს, რომ წმინდანები ამგვარად აღწევდნენ ციური სფეროების შეცნობას და პარლამენტის ფრაქცია თუ მოწამებრივად ამ გზით აღესრულება, მიწიერ და ციურ საქართველოს მეტად წაადგება. ...დრე წართმეული ტერიტორიების შესახებ საუბარი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობა... ასეა თუ ისე, პარლამენტის სხდომაზე გერმანე ფაცაციას ხელმოწერილი პოეტური მიმართვა წაიკითხეს და განხილვა მომავლისთვის გადადეს. დღის ბოლოს კი, მხოლოდ ავთანდილ ტყებუჩავამ შეაწია აქციის მონაწილეებს ორიოდ სიტყვა.

ამასობაში მოშიმშილე დეპუტატი გია გეაზავა ულონოდ წევს საწოლზე და პერგამენტივით გაფითრებული კოლეგების განაჩენს ელის. სიცოცხლით სავსე გენო კალანდიას გული ხელით უჭირავს და გაფაციცებით უყურებს ტელევიზიით გადაცემულ პარლამენტის სხდომას...

მოსახლეობაში უკვე შეგროვდა 30000 ხელმოწერა საკანონმდებლო ინიციატივით, საქართველოდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ, რომელიც სულ მალე გადაეცემა პარლამენტის თავმჯდომარეს.

## შიმშილობის მე-18 დღე, 19 მარტი, ოთხშაბათი

დილით პარლამენტის სხდომაზე ზურაბ ჟვანიამ გამოაცხადა, რომ ტრადიციონალისტთა კავშირმა, ქარ...ტიამ და კონსერვატორებმა შეაგროვეს 30.000 ხელმოწერა რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ, რომელიც გარკვეული პროცედურის შემდეგ ოფიციალურად შემოვა პარლამენტში განსახილველად. რაც შეეხება მოშიმშილეთა აქციას, ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ჯერჯერობით შეთანხმებას ვერ მიაღწია მათთან. კონსულტაციები გაგრძელდება და ხუთშაბათისთვის იქნებ შესაძლებელი იქნას ამ თემის პარლამენტზე განხილვა. ზოგიერთმა დეპუტატმა წინადადება შემოიტანა მოშიმშილე ფრაქციისაგან შემოთავაზებული კანონ-პროექტი განხილულიყო, მაგრამ ზურაბ ჟვანიამ უარყო ეს წინადადება და პარლამენტმა კანონშემოქმედება გააგრძელა თავისი სახელმწიფო სტრუქტურების ასაშენებლად.

რაც შეეხება მოშიმშილეებს, ისინი უკვე შეეჩვიენ იმ რეჟიმს, რომელიც გამოაცხადეს და საკითხის გადადებას არ უშინდებიან. თუმცა სისუსტემ და ულონობამ უკვე დიდი ხანია იჩინა თავი. ანზორ წოწონავა მაინც ეხუმრება იგორ კაკუას, ადრე ინდაურის წონა იყო და ახლა ბელურას დამგვანებიხარ. არც წოწონავაა უკეთეს დღეში, მაგრამ უხარია წონის დაკლება, 20 წლით გავახალგაზრდავდიო.

მოშიმშილე დეპუტატებს მოუვიდათ არძინბას მიერ დაწერილი წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი, სადაც იგი შეფარული მუქარით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს: ჩემს ტერიტორიაზე უშიშროებისაგან დაკომპლექტებული ტერორისტ-დივერსანტების თარეში აღკვეთე, თორემ გაეროსაგან ჩატარებული მოლაპარაკებები, რუსთა მონაწილეობით წყალში ჩაგეყრებაო.

ვითომ რამე იყო იმ მოლაპარაკებებზე წყალში ჩასაყრელი?

მანანა იაშვილი

● ამაღლებისათვის

# გაბედე, თუ გინდა, გადარჩე!..

ჯანო ჯანელიძე

> მეღნიერია ის, ვინც ეკუთვნის საკუთარ თავს.
> ციცერონი

მე კიდევ დავუმატებდი: ბედნიერია ისიც, ვისაც სიცოცხლეში ეღირსა თავისუფლება, მაგრამ არა ნაკლებ ბედნიერია ის, ვინც დაეცა თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ბორკილები საფლავში არ ჩაიყოლია. ბერძნული მითი პრომეთეზე, რომლის ქართული ვერსია ამირანი გახლავთ, არაფერია, თუ არა, კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის.

მთები იმიტომ გაურბიან ღმერთებს, რომ თავისუფლება სწადიათ. ადამიანის ყველი საფეხური სიმაღლისაკენ თავისუფლებისათვის სწრაფვა გახლავთ. დიდი გოის სიტყვები: „ამ ქვეყნად არაფერს იმდენი მტერი არა ჰყავს, როგორც სიყვარულს". სიყვარული კი სხვა არაფერია, თუ არა ლტოლვა თავისუფლებისაკენ, რომ ეკუთვნოდე მას, ვინც შენ გეკუთვნის.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ისეთი ბედნიერი და ამაღლებული არასოდეს ვყოფილვარ, როგორც 1978 წლის 14 აპრილის მშვენიერ და ისტორიულ დღეს, როცა დედა-თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე ერთ ხაზად, ერთი იდეალებით მთელი თბილისი, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ხელიხელჩაკიდებულნი, მოითხოვდნენ მშობლიური ენის, ქართული ენის სახელმწიფოებრიობას და მივაღწიეთ კიდეც ამას.

როგორ მოხდა ეს? – ისმის კითხვა.

პასუხი ის გახლავთ, რომ მაშინ ყველაზე ნაზოლარადან პირველი კაცის ჩათვლით, ერი ერთად დადგა. ერთობა კი ქვასაც სტეხს და გატყდა კიდეც დიდი რუსი – ჩვენი 200 წლის მტერი და დათმო მაშინ თითქმის დაუთმობელი.

დიახ, ელოდე სასწაულს ზეციდან, ღვთის წყალობით, მაგრამ ელოდე სასწაულს უპირველესად საკუთარ თავში. ამას კი თავგამოდება და თავგანწირვა სჭირდება.

„ვინც მუდამ იმედს ეჭიდება, – სულელია, ხოლო, ვინც იმედს ჰკლავს, – ნაძირალა. მე კი ორივეს ჩავდივარ და სულელიც გამოვდივარ და ნაძირალაც", – თითქოსდა საკუთარ თავს დასცინის გერმანელი პოეტი და მომღერალი ვილჰელ ბირმანი. ნამდვილად კი ჩვენ, მოკვდავთ გვაფრთხილებს, რომ მხოლოდ იმედით ნუ ვიცხოვრებთ და, ნურც იმედს მოვუკლავთ ადამიანებს. საჭიროა მიზნისათვის გარჯა და ბრძოლა. ჩვენ კი აგერ თითქმის ორასი წელია, რაც რუსის იმედით ვცხოვრობთ და ვნებივრობთ. რუსმა, მართალია, ფიზიკურად გადაგვარჩინა, მაგრამ ზნეობრივად, მორალურად დაგვცა, გაგვრყვნა, დაგვაბეჩავა.

კმარა სხვისი ომით ცხოვრება. ჩვენი ომი ჩვენვე უნდა გადავიხადოთ, ისე თავისუფლებას არავინ არ მოგვგვრის ტაფამწვარივით.

ბედისწერასავით დაჰყვა გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოს.

წერილის პროლოგში ვცხარობდი, საქართველო ამ ხნის მანძილზე სხვისი ომით ცხოვრობდა-თქო. მთლად ასე არ გახლავთ და ამის დასტურია ქართველთა იარაღით ხელში გამოსვლები 1802, 1804, 1810, 1812-13, 1818-19, 1832, 1840-1841 წლებში. მაინც ყველაზე თავგანწირული და მასშტაბური ამ გამოსვლათა შორის 1812–13 წლების კახეთის აჯანყება გახლავთ.

– მამა, რუსი სალდათი ქვევრში ჩავარდა და დაიხრჩო, რა ვქნა?! – ეკითხება კახელი ბიჭი მამას.

– რა უნდა ჰქნა? ღვინო მეორე ქვევრიდან უნდა ამოიღო. რა გაყვირებს, რუსის მეტი რა მოიძებნება ჩვენში?! – უთხრა მამამ შვილს და მშვიდად გაავსო ფიალა.

კახელი მამა-შვილის ეს დიალოგი ნათლად მეტყველებს, რა გაშინაურებული სტუმარი გახლდათ რუსი სალდათი საქართველოში.

უკეთესად არც ახლა გახლავთ საქმე, მაგრამ დღეისათვის გაცილებით მეტი პატივით ვექცევით რუს სალდათს, რუს დიპლომატსა თუ თვით რუს ადგილობრივ მკვიდრს საქართველოში. ეს მაშინ, როცა რუსის წყალობით და რუსული პოლიტიკის გამოისობით აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გამოძევებული 400 ათასი ქართველი (და არა მხოლოდ ქართველი!) დაეხეტება რესპუბლიკასა თუ მის მიღმა.

პათეტიკურია და ყალბი ჩვენი ლოზუნგი, რომ რუსეთს აინტერესებს ერთიანი, ძლიერი და სტაბილური საქართველო, როგორც მოკავშირე და პარტნიორი. რუსეთს აინტერესებს დაჩიავებული, დანაწევრებული და არასტაბილური საქართველო. როცა ჯერი საქართველოზე დგება, არ არსებობს ორი, სამი თუ ოთხი რუსეთი, რეაქციული თუ პროგრესული. დაწყებული სახაროვიდან დამთავრებული ჟირინოვსკით ყველა რუსის დამოკიდებულება საქართველოსადმი ერთია: მონა, მორჩილი, ვასალი საქართველო და ამას კიდეც დაჟინებით და კანონზომიერად ახორციელებენ. ამისათვის კი ისინი, უპირველესად საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციას შეუდგნენ. ასე იქნა ფალსიფიცირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ისტორია, ისტორია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა, რომელიც 3600 წელს მაინც ითვლის. ისტორიის ფალსიფიკატორები კი ისე უნდა დაისაჯონ, როგორც ყალბი ფულის მჭრელები (სერვანტესი). მაგრამ ვინ არიან დამსჯელნი. გამარჯვებულებს ხომ არ ასამართლებენ?!

არა, გამარჯვებულთა გასამართლების ჯერიც დგება ბოლოს, თუ ეს გამარჯვება არაკეთილშობილური გზით, ბინძური საშუალებებით არის მოპოვებული.

რუსეთის ასეთი გასამართლება ადრე იაპონიის ომით მოხდა, ამჟამად კი – ჩეჩნეთში. ეს ამ საუკუნის დასასრულის დიდი პროცესის დასაწყისია.

ველოდოთ სპექტაკლის გაგრძელებას.

ქართული ანდაზა ქადაგებს: „რაც არ გერგების, არ შეგერგების".

როგორი მოთმინება და მონის მორჩილება უნდა ჰქონდეს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის სტუმარი, რუსეთის ფედერაციის დუმის ქვედა პალატის მეთაური გენადი სელეზნიოვი საქართველოში, ქთბილისში პათეტიკურად აცხადებს: „ფოთი ან ჩვენი საერთო სარგებლობის ნავსადგურად უნდა იქცეს, ან უნდა ჩაიძიროს". ჩვენ კი საკადრისი პასუხის ნაცვლად სახედრის მოთმინებას ვამჯობინებთ.

მეორე ბრწყინვალე წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის, ვიცე-სპიკერი მიხაილ საფარბეგის ძე გუცერიევი მიდის ჩვენს მოშიმშილე დეპუტატებთან და ყოფნის თავხედობა, იქიდან გამოსულმა მთელი საქართველოს გასაგონად განაცხადოს: „ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს დეპუტატთა შორის კი არა, ცირკში ვიმყოფებოდიო".

ჩვენ კი დიდიან-პატარიანად დაგვიბჩენია პირი და ამ ვიგინდარას, უკაცრავად, პასუხია, ნაფურთხს მოთმინებით ვიწმენდთ, ნაცვლად იმისა, რაც ეკუთვნის, ის რომ ვუთავაზოთ უკანალში.

დიახ, ჩვენი ცხოვრების ფორმულა დიდი ხანია გახდა: „რაც უარესი, – მით უკეთესი".

ეტყობა მერჩულემ საუკუნეებით ადრე იწინასწარმეტყველა ჩვენი დაცემა და დაბეჩავება და თქვა: „ნეტარ მას კაცს, რომელ ცოცხალ აღარ არს!"

ასეთ დროს, როცა ლამის მთელი საქართველო გამოგვტაცონ ხელიდან, სიმშვიდე მხოლოდ მიცვალებულთ ეპატიებათ.

გახსოვდეთ, რომ ჩვენ ამ ქვეყნად განცხრომისა და სიმშვიდისათვის არა ვართ მოსულნი. პოლ ვალერისა არ იყოს, ადამიანი თავისივე სხეულის ჯვარზე უნდა იყოს გაკრული და ულონოდ დახრილი თავი საკუთარ აზრის ეკლებით უნდა ჰქონდეს დახვრეტილი.

შეიძლება ითქვას, იმდენი გმირი ქართველი, რამდენიც აფხაზეთის ომმა შემოგვთავაზა, არც ერთ ომს არ მოუცია. მაგრამ ლაჩარი, გამყიდველი, მოღალატე და ფლიდიც ასევე ბლომად იყო. ვინ იცის, რამდენმა ქართველმა ქართველი მოჰკლა, რომ შემდეგ მისი კუთვნილი ავტომატი მაროდიორებისათვის მიეყიდა.

და მაინც რატომღაც დიდი ილიას სიტყვები მახსენდება: „ახლანდელი ქართველი რომ ძალიან მძულს, ამით ვამტკიცებ, რომ საქართველო ძალიან მიყვარს"...

ისტორიამ ჩვენ მკაცრი გაკვეთილები ჩაგვიტარა რუსეთის მიმართებით. მოყოლებული კრწანისის ომიდან მხოლოდ ღალატი და ღალატი დაბედა დიდმა რუსეთმა პატარა საქართველოს და ვაჟა-ფშაველას თქმისა არ იყოს, ისე აჭრის საქართველოს მსუყე-მსუყე ნაჭრებს, როგორც ცხვრის დუმას.

1921–22 წლებში ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ტერიტორიის თითქმის მესამედი. მაშინაც იდგა ყარაბაღის საკითხი, მაგრამ რუსეთმა სომხეთი და აზერბაიჯანი საქართველოს ხარჯზე მოარიგა. აზერბაიჯანს დარჩა საინგილო და ქვემო ყარაია, სომხეთს – ახბატ-სანაინი, ალავერდი, ლორეს მხარე.

1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის ხელშეკრულებით ჩვენ დავკარგეთ გაგრა, განთიადი, ლესელიძე, ალახაძე, ბიჭვინთა...

1993 წლის 15 მარტს ისევ შეთანხმება რუსეთთან და ისევ შემოტევა გუმისთიდან და მხოლოდ რაღაც სასწაულით გადავრჩით იმ მძიმე დღეებში.

ისევ 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულება მძიმე ტექნიკის აფხაზეთიდან გატანის შესახებ. 15 სექტემბერს უკანასკნელი გემით ქსოხუმიდან ფოთისაკენ გავიდა უკანასკნელი მძიმე ტექნიკა. ეს იყო საღამოს. დილის 6 საათზე, 16 სექტემბერს, კი დაიწყო შეტევა სოხუმზე და გვიტევდა რუსეთის რეგულარული ნაწილები, ავიაცია, ხომალდებით, ქვემეხებით.

აი, რას ჰყვება ამის შესახებ ერთი ოსი ბოევიკი, რომელიც, რასაკვირველია, აფხაზების მხარეზე იბრძოდა:

– 1993 წლის 15–16 მარტის დღეებში რაც თქვენმა არტილერიამ (ქართულმა. ჯ.ჯ.) გვიყო, წარმოუდგენელია.

სამაგიეროდ, როცა 1993 წლის 27 ივლისს სოჭში გოგუაძემ და ჯინჯოლიამ ხელი მოაწერეს მძიმე ტექნიკის აფხაზეთიდან გატანის შესახებ, და გუდაუთაში ეს ხელმოწერილი დოკუმენტი არძინბას მიუტანეს, არძინბამ, აღფრთოვანებულმა ამ მიღწევით, მოგვილოცა, გათავდა, მორჩა, სოხუმი აღებულიაო. არძინბა თითოეულ ბოევიკს დღეში აძლევდა 300-300 დოლარს. ფრონტის ხაზზე ჯერ მიდიოდნენ კაზაკები (1500 კაცი დაჭრავებული), შემდეგ ოსები, შემდეგ ჩეჩნები, შემდეგ ყაბარდო-ადიღეელები, ბოლოს აფხაზები.

– არ იკითხავთ, ვინ აფინანსებდა არძინბას ასე გულუხვად დოლარებით?

– რასაკვირველია, რუსეთი... მისი პროგრესიული თუ რეაქციული ფრთებით, ერთიანად, მთლიანად, ერთსულოვნად.

ჩვენ, მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით ყოველგვარი ხელშეკრულების დადებისა და მოლაპარაკებისა რუსეთთან თუ აფხაზებთან, რადგან კარგად ვიცოდით, რომ წინ მხოლოდ მოტყუება და ღალატი გველოდა. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილე (დღეს პირველი მოადგილე!!!) კი გვემუქრებოდა: „პოდპიშიტე, ა ტო ვკროვი ბუდეტე პლავატ... სუხუმი ვპეპელ პრევრატიატ!"

მოაწერეს ხელი და მაინც ასე მოხდა. რუსეთმა ისევ მიიტაცა საქართველოს 1/6 ნაწილი.

– რას უნდა ველოდით მომავლისათვის, ხვალისათვის, ზეგისათვის ასეთი მინისტრებისა და მოადგილეებისაგან?!

– რასაკვირველია, ისევ ღალატს და ისევ სიფლიდეს.

ერთი ახლო მეგობარი მიყვებოდა, რუს ბოევიკს უამბია მისთვის მოსკოვში.

ქართველი გოგონა, სულ ახალგაზრდა და უმანკო, მიიმწყვდია თურმე კედელთან ბანდიტმა ბოევიკმა. გოგონას სიმწრისა და შიშისგან აღმოხდა: „ვაიმე, დედა!"..

პასუხად ბანდიტი მიუგებს: „ეშონი ზასუნულა, ტი ჩტო ბურჩიშ?!"..

სწორედ ამ გოგონას მდგომარეობაშია დღეს საქართველო, კედელთან მიმწყვდეული, შეშინებული, დამფრთხალი, განწირული, მორჩილი...

ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს.

უნდა მოვიშოროთ მორჩილებისა და მონის სინდრომი.

ერის სიმცირე არ არის მიზეზი სილაჩრისა. პირიქით, ათენმა, რომელიც 20 ათას მოქალაქეს ითვლიდა მხოლოდ, დიდი სპარსეთი დაამარცხა, ქალაქმა რომმა მთელი ხმელთაშუაზღვის აუზი დაიპყრო. პატარა ფლორენციამ ოსმალები, ბიზანტიელები და უნგრელები უკუაქცია, კონსტანტინოპოლი, პელოპონესი, კვიპროსი და კრიტოსი დაიმორჩილა. პატარა ეთიოპია 1868 წელს, აპრილში ზარზეიმით დაიპყრო ინგლისმა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ კუდით ქვა ასროლინეს ეთიოპიელებმა ინგლისელებს. იმავე წლის მაისში ბარგი-ბარხანა აიკიდეს და დატოვეს ეთიოპია. შორს რატომ მივდივართ? აი, აგერ ჩეჩნების მაგალითი.

ეშმაკი არც ისეთი საშინელია, როგორსაც ხატავენ. ოღონდ ქათამივით კურტუმო არ უნდა გავისქლოთ, თვალები არ უნდა მივბლანტოთ და კაკანი სიმღერად ნუ მოგვეჩვენება.

პოლიტიკაში არ არსებობს მუდმივი მეგობარი, არის მუდმივი ინტერესები. ჩვენ კი რას ავკიდებივართ ძველი ხურჯინივით რუსეთს და არ ვეშვებით. არ არსებობს სიტუაცია, საიდანაც არ იყოს გამოსავალი და ვინც ეძიებს, ის ჰპოულობს კიდეც ამ გამოსავალს.

„როცა საქართველოს მზე ჩაესვენა, მაშინ გადაწყდა კავკასიის ბედი", – უთხრა ყაბარდოელმა ნაციონალისტმა სოციალ-ფედერალისტების ერთ-ერთ ლიდერს გიორგი ლასხიშვილს.

არა მგონია, მთლად ასე იყო. საქართველოს მზე შეიძლება მინავლებულია, მაგრამ ჩასვენებით არ ჩასვენებულა. გარდა საქართველოსი, კიდევ მრავალი მზე ანთია კავკასიაში. მთავარია, ამ მზეებმა ერთმანეთს გაუგონ, თვალებში ჩახედონ, საერთო სუნთქვა გაიზიარონ. მაშინ ჩრდილოეთის ყინულიც ადვილად გალხვება და გაიბზარება, „ოღონდაც ჩვენ ჩვენი ვალი გვაქვს მოსახდელი, როგორც ჯარისკაცს გალავნის გარემოცვისა და იერიშისას" (მარკუს ავრელიუსი). ისიც გვახსოვდეს, რუსეთი დღეს იმ ციხე-სიმაგრეს ჰგავს, რომელსაც ძველი მხოლოდ სახელი და დიდება შემორჩა, სხვა არაფერი...

მაგრამ ჩვენც, ქართველებმაც სხვა ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ და მოვიქცეთ ისე, როგორც ამას ჭეშმარიტი მოქანდაკე აკეთებს, ქვას ყოველივე ზედმეტს რომ აცლის.

როცა ერთ-ერთი ბრძოლისას პომპეუსმა აღელვებულ ზღვაზე გასვლა დააპირა და მას წინ მეგობრები გადაუდგნენ, გაისმა მისი სიტყვები: „ზღვაზე გასვლა აუცილებელია, სიცოცხლე კი სულაც არ არის აუცილებელი"...

დიახ, მავანნი და მავანნი გვაშინებენ, რომ აფხაზეთის დაბრუნებას დიდი მსხვერპლი მოჰყვება. თუნდაც ასედაც მოხდეს ამ ომს, აფხაზეთის დაბრუნება აუცილებელია, ჩვენი სიცოცხლე კი სულაც არ არის აუცილებელი.

როგორც უძვირფასეს მარგალიტს ზღვის ფსკერზე, თავისუფლებას ძიება უნდა, გარჯა უნდა, მსხვერპლი უნდა, სისხლის ღვრა უნდა: „ითხოვეთ და მოგეცემათ, ეძებეთ და იპოვით, დააკაკუნეთ და გაგეღებათ"...(მათე 21).

„არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს... ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონსაც" (ლუკ. 16,13). ჩვენ კი უკვე ორასი წელია ორ ბატონს ვემსახურებით. არა! რუსი და რუსეთი რომ მართლმორწმუნეა, ეს არაფერს ნიშნავს. მას საკუთარი იდეალები და საკუთარი ღმერთი ჰყავს და ჩვენი ქართული, მართლმადიდებლური იბერია არაფრად მიაჩნდა, არაფრად მიაჩნია და არც არასოდეს მიაჩნდეს იქნება რაიმედ. ჩვენ ჩვენი გოლგოთა უნდა გავიაროთ, ჩვენი ჯვარი უნდა ვზიდოთ და ჩვენივე ამაღლებას უნდა ვეზიაროთ. თავისუფლება და ამაღლება სისხლით და ოფლით, ტანჯვითა და წამებით მოიპოვება.

მაშ, განვემზადოთ ამაღლებისათვის, ე.ი. ბრძოლისათვის.

დიახ, გაბედე, თუ გინდა გადარჩე!..

> აფხაზეთის დაბრუნება აუცილებელია, ჩვენი სიცოცხლე კი სულაც არ არის აუცილებელი...



მ. აბაშიძის ნახატი

## დებატები სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე

გუშინ პარლამენტის სხდომაზე დეპუტატთა მსჯელობის საგანი გახდა დადგენილების პროექტი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მდგომარეობის შესახებ. ვინაიდან დადგენილების რამოდენიმე ვარიანტია წარმოდგენილი, ზ.ჟვანიას განცხადებით, შემთანხმებელ ჯგუფთან მუშაობა გაგრძელდება და პარლამენტი ყველაფერს გააკეთებს სიტუაციის დროზე განმუხტვისათვის.

შემდეგ პარლამენტარებმა გააგრძელეს კანონპროექტის განხილვა „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ". დებატები გამოიწვია კანონპროექტის იმ მუხლებმა, სადაც საუბარი იყო სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე, სახელმწიფო კანცელარიის სტატუსზე, უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე საპარლამენტო მდივანთა არსებობის მიზანშეწონილობაზე. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა – ჯ.ხეცურიანმა განაცხადა, რომ საპარლამენტო მდივანი არის პიროვნება, რომელიც არეგულირებს შესაბამისი სამინისტროების ურთიერთობას პარლამენტთან და ეწევა კანონშემოქმედებით საქმიანობას. ამიტომ აუცილებელია, რომ ამ მოვალეობას ასრულებდეს მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე, რომელსაც განკარგულებათა გაცემის უფლებაც აქვს. (იფრინდა)

## „დადგა დრო, დეპუტატებმა სიმართლე თქვან"

გუშინ, პარლამენტის საღამოს სხდომაზე, დეპუტატმა ი.სარიშვილი-ჭანტურიამ კვლავ წამოჭრა მოშიმშილე დეპუტატთა საკითხი. მისი განცხადებით, იგი თავს „ამაზრზენ სპექტაკლში ჩართულად" გრძნობს და უკვე დადგა დრო დეპუტატებმა სიმართლე თქვან. „მათ შორის დეპუტატმა გ.შარაძემაც დაასახელოს, კონკრეტულად ვის აწყობს ეს სპექტაკლი". – განაცხადა ედპ-ს ლიდერმა. პარლამენტის თავმჯდომარის ზ.ჟვანიას თქმით კი, „პარლამენტში არ არის განსხვავებული მოსაზრება აქციის თაობაზე. მოშიმშილეებმა მოახერხეს პოლიტიკურ კონიუნქტურაზე მაღლა დადგომა და ყველაზე წმინდა და სპეტაკი ფორმით გამოხატეს თავისი დამოკიდებულება აფხაზეთისადმი. ამის არ დანახვა შეუძლებელია".

გუშინვე პარლამენტარებმა ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს დადგენილების პროექტზე და შეიმუშავეს მიმართვა მოშიმშილე დეპუტატებისადმი. (იფრინდა)

● საით მიდის საქართველო?

# გეოპოლიტიკა და ქართველთა ბედი

ალექსანდრე ჭაჭია

ბიპოლარული სამყაროს არსებობის შეწყვეტისას, როდესაც არმებობდა პარიტეტი მსოფლიოს ორ ძალას – აშშ-ს და სსრკ-ს შორის, ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაში ბჟეზინსკის მსგავსი რადიკალების გავლენით ჩამოყალიბდა აზრი, რომ მსოფლიო ერთპოლარული გახდა, ე.ი. შეერთებულმა შტატებმა მთელი მსოფლიო უნდა მართოს და ამისათვის საკუთარი „ახალი მსოფლიო წესრიგი" დაამყაროს. მაგრამ ამერიკელები ძალიან მალე დარწმუნდნენ იმაში, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია და ამიტომ დაიბადა მრავალპოლარული მსოფლიოს თეორია, რომელშიც ობიექტური რეალობა გამოიხატა: ძლიერ სახელმწიფოებს – გერმანიას, ჩინეთს, თურქეთს, იაპონიას და სხვას – არ სურთ დაემორჩილონ მსოფლიოს ერთ ცენტრს და თავიანთ რეგიონებში ლიდერის როლის შესრულება უნდათ. ამერიკა იძულებულია დაეთანხმოს ამას და დაკმაყოფილდეს იმით, რომ მათი ნაწილი აშშ-ს მიმართ ლოიალურადაა განწყობილი. ჩვენს რეგიონში რეგიონალური ზესახელმწიფოსა და დასავლეთის ინტერესების გამტარებლის როლი ნატოს წევრს თურქეთს აკისრია. მისი პროდასავლური ორიენტაციის შენარჩუნების მიზნით რეგიონში თურქეთის ნებისმიერი ამბიცია აშშ-სა და ნატოს მხარდაჭერას მოიპოვებს. მითუმეტეს, რომ თურქეთი საჭიროების შემთხვევაში დაემუქრება დასავლეთს ირანსა და ერაყთან ინტეგრაციით, რასაც უკვე აკეთებს კიდევაც. იმისათვის, რომ თურქეთი არ ჩამოშორდეს, დასავლეთი მზადაა იმსხვერპლოს ნატოს წევრის – საბერძნეთის ინტერესებიც კი, მითუმეტეს, რომ ბალკანებზე მომხდარი გეოპოლიტიკური ცვლილებების შემდეგ საბერძნეთი აღარ წარმოადგენს დასავლეთისათვის ყოფილ მნიშვნელობას. ნუთუ ვინმეს დასავლეთში თავში მოუვა აზრი, რომ შეეჯახოს თურქეთს საქართველოს ინტერესების დასაცავად? თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ იგივე გამოტვინებული ბჟეზინსკი (ბევრი ქართველი პოლიტიკოსის საყვარელი მასწავლებელი) დღეს აცხადებს: „კომუნიზმის დანგრევის შემდეგ ამერიკის ერთადერთ მტრად დარჩა მართლმადიდებლობა". დააკვირდით, რომ საუბარია უკვე არა სახელმწიფოებზე, არა პოლიტიკურ წყობაზე, არამედ ხალხებზე – მართლმადიდებელი რელიგიის მატარებლებზე – ქართველებზე, რუსებზე, ბერძნებზე. ისტორიაში ანალოგიური „გულახდილობით" ღაღადებდა მხოლოდ ჰიტლერი...

მაგრამ იქნებ საქართველოში ჯერ კიდევ სწამთ იმ ზღაპრისა, რომლითაც „პერესტროიკისა" და „ახალი აზროვნების" „მამები" გვასულელებდნენ, რომ თითქოს ნებისმიერ სახელმწიფოთა შორის შესაძლებელია თანასწორუფლებიანი ურთიერთობები? ნებისმიერი, ყველაზე გაუნათლებელი გლეხისათვისაც კი ცხადია, რომ არ შეიძლება იყოს თანასწორუფლებიანობა დიდ, ძლიერ, მდიდარ სახელმწიფოსა და პატარა, სუსტ, ღარიბ ქვეყანას შორის. ეს ზღაპარი გათვალისწინებულია სრული კრეტინებისათვის, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები დაუღალავად იჩემებენ მას.

თურქეთთან ურთიერთმოქმედებითა და ურთიერთგაგებით დაგეგმილი დასავლეთის მიზნები კავკასიაში ზუსტად არის გამოხატული მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ გერმანულ-თურქულ ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულ იქნა 1941 წლის 18 ივნისს და ითვალისწინებდა: 1) ამიერკავკასიის ქვეყნების კონფედერაციის შექმნას გერმანიისა და თურქეთის ერთობლივი პროტექტორატის ქვეშ; 2) მთიელ ხალხთა კონფედერაციის შექმნას ჩეჩნეთ-ინგუშეთის, დაღესტნის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ადიღეის, ყარაჩელ-ჩერქეზეთისა და აფხაზეთის შემადგენლობით; 3) თურქეთისთვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (მესხეთის), აჭარისა და ნახიჭევანის რაიონის გადაცემას, ყარაბაღის სომხეთისათვის დაბრუნებას; 4) სამეგრელოს გამოყოფას (დედაქალაქი ფოთი) და მისი გერმანიის „განსაკუთრებული ინტერესების ზონად" გამოცხადებას.

იცვლება ეპოქები, სახელმწიფოთა პოლიტიკური სისტემები, მთავრობების რიტორიკა, მაგრამ სტრატეგიული ინტერესები უცვლელი რჩება. სხვათა შორის, თურქეთის ანალიტიკურ ცენტრებში, პრესაში ინტენსიურად იხილავენ ოსეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის გავლით ფოთის და სოხუმის პორტებში კასპიისა და ჩრდილოეთის ნავთობის გადაქაჩვის ვარიანტს...

ცალკეული ხალხების გეგმაზომიერი განადგურების კონცეფცია შემუშავებულია ჯერ კიდევ ჰიტლერისა და როზენბურგის მიერ, შემდგომში კი ა.დალესის მიერ. ჩვენ დროში კი მასში შეტანილია ზოგიერთი ცვლილებები, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე მსოფლიოს რეალიებს. დანიშნული მსხვერპლის მიმართ კონცეფცია ითვალისწინებს: 1) არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სრულ დისკრედიტირებასა და გამაერთიანებელი საერთო ეროვნული მიზნის წარმოქმნის არ დაშვებას; 2) საშინაო შეიარაღებულ კონფლიქტთა სერიის გაჩაღებას, სეპარატიზმის მხარდაჭერასა და სახელმწიფოს რამდენიმე ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულ ტერიტორიებად დაყოფას; 3) სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმო სიმძლავრეთა გაჩერებას, დემონტაჟსა და განადგურებას; 4) შემოტანილი სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლისაგან სრულ დამოკიდებულებას; 5) იმ პირობათა განადგურებას, რომლებიც აუცილებელია ფუნდამენტალური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის დაშლას და მათ მიუწვდომელ ფუფუნებად ქცევას; 6) მოსახლეობის ზნეობრივ დეგრადირებას, ტრადიციული ფასეულობების დაცინვასა და განადგურებას, ეროვნული კულტურის განდევნასა და მისი უცხოური სუროგატით შეცვლას (ჰიტლერი: „ამ ხალხებმა უნდა იცოდნენ, რომ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი კულტურა – გერმანული", ა.დალესი: „მათთვის იდეალი უნდა გახდეს ამერიკული მასობრივი კულტურის ყველაზე პრიმიტიული ნიმუშები").

ძნელია არ დაეთანხმო იმას, რომ თანამედროვე საქართველო ყველა პარამეტრით შეესაბამება ამ კონცეფციის მიზნებს: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია არ არსებობს, ტერიტორია დაყოფილია, ეკონომიკა განადგურებულია, შიდა ომებში დაღუპულია ათასობით ადამიანი, მეცნიერება და განათლება პარალიზებულია, მოსახლეობა ფაქტიურად უმუშევარია. ამის შედეგად წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია ემიგრაციამ: ექსპერტთა გაანგარიშებით, ქვეყანა უკვე მილიონ ნახევარმა ადამიანმა დასტოვა, თანაც ემიგრაციის ტემპი არ შენელებულა და ძირითადად შეეხება ქართულ მოსახლეობას. შობადობა დაყვანილია იმ დონემდე, რომელიც ახასიათებს ერის გადაშენებას, ჯანდაცვის მიუწვდომლობისა და სოციუზრუნველყოფის სისტემის არ არსებობის გამო სიკვდილიანობის ზრდამ ყველა დასაშვებ ნორმას გადააჭარბა. აქვე აღსანიშნავია, რომ ემიგრაცია, შობადობის დაცემა და სიკვდილიანობის ზრდა ძირითადად შეეხება ქართულ მოსახლეობას. ზოგიერთი ეროვნული დიასპორის გამრავლების ტემპი საბჭოთა პერიოდის დონეზე დარჩა, რასაც ხელს უწყობენ არა მხოლოდ იდეოლოგიური და რელიგიური ფაქტორები, არამედ ქართველებთან შედარებით გაცილებით უკეთესი მატერიალური მდგომარეობაც. ისე რომ, საქართველოს ტერიტორია ცარიელი არ დარჩება...

თბილისის „ელიტარული ინტელიგენციის" იმ წარმომადგენლებს, რომლებიც დღეს მორიგი რესტორნის პრეზენტაციიდან შინ დაბრუნდებიან, ჩემს მიერ დახატული სურათი რა თქმა უნდა ზედმეტად მძიმე მოეჩვენებათ. მე ვურჩევდი მათ ერთი წამით მაინც გაიხსენონ ქართველი ერისადმი თავისი კუთვნილება, გვერდზე გადადონ საკუთარი ტყავის ინტერესები, ტრადიციული მლიქვნელობა და გაემგზავრონ პროვინციაში, ნახონ თუ რა ხდება იქ. მაგალითად სამეგრელოში, სადაც ყოველი მეხუთე სახლი იყიდება: ხალხი ოჯახებით სტოვებს ქვეყანას...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა მანიაკური სიჯიუტით ამტკიცებს, რომ ჩვენი რეგიონის სტაბილურობით განსაკუთრებით დაინტერესებულია ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თითქოსდა მზად არის უზრუნველყოს ეს სტაბილურობა, კერძოდ კასპიის ნავთობის გამო. ასე შეიძლება გვეფიქრა ორი წლის წინ, მაგრამ დღეს კომპეტენტურმა ადამიანებმა იციან, რომ აშშ-ს უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში იმარჯვებს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ამერიკა რამოდენიმე წლით უნდა განერიდოს ევროპაში მოვლენათა განვითარების პროცესს. ამერიკელებმა უკვე გაიგეს, რომ პოტსდამის შეთანხმებების გადახედვამ საფუძველი დაუდო მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებას, რომლის კერად ისევ შეიძლება ევროპა გახდეს. ყველაზე ძლიერ ევროპულ ქვეყანას – გერმანიას ისტორიულ-ტერიტორიული პრეტენზიები გააჩნია პოლონეთის, ჩეხეთის, საფრანგეთის, რუსეთის მიმართ (ტყუილად კი არ შეუფასებიათ გერმანელებს აღმოსავლეთ გერმანიის შემოერთება, როგორც „დიდი გერმანიის გაერთიანებისა და აღორძინების პირველი ეტაპი", ხოლო 1996 წლის იანვარში კანცლერმა, შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტრომაც, ოფიციალურად განაცხადეს, რომ პოტსდამის შეთანხმებები გერმანიის მიერ იხილება მხოლოდ როგორც პოლიტიკური დეკლარაციები, მითუმეტეს, რომ გერმანიას პოტსდამის კონფერენციაში მონაწილეობა არ მიუღია!). ანალოგიური პრეტენზიები მეზობელი სახელმწიფოების მიმართ გააჩნია უნგრეთს, რუმინეთს, პოლონეთს, თურქეთს და სხვ. მაშასადამე, იქმნება 30-იანი წლების საერთაშორისო მდგომარეობის მსგავსი სიტუაცია. რამდენად მიზანშეწონილია ამერიკელებისათვის ასეთ ვითარებაში ევროპის საქმეებში აქტიური ჩარევა და „ევროპის ჟანდარმის" როლის შესრულება? ევროპის ეკონომიკურად „დაკავება" ამერიკას აღარ შეუძლია: გერმანია უკვე გახდა ევროპის ცენტრი, ატარებს ძლიერ დამოუკიდებელ პოლიტიკას და ცდილობს განდევნოს ამერიკა რეგიონიდან; საფრანგეთს, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის გაძლიერების ეშინია, აღარ სურს ამერიკა იხილოს თავისი პატრონის როლში (იმასაც ითხოვს, რომ ევროპაში განლაგებული ნატოს ჯარის მთავარსარდალი ევროპელი იყოს და არა ამერიკელი); იტალიის, ესპანეთის ეკონომიკური ინტერესები ასევე არ შეესაბამება ამერიკის ინტერესებს (მაგალითად, ისინი ეწინააღმდეგებიან აშშ-ს მიერ გამოცხადებულ კუბის ეკონომიკურ ბლოკადას); თურქეთის ახალ როლზე ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ. „სიმშვიდის პოტენციალურ დამრღვევთა" ნატოში გაერთიანება, ასევე არ შეიძლება იყოს ეფექტური: თურქეთისა და საბერძნეთის ურთიერთდაპირისპირება გვიჩვენებს, რომ ტერიტორიული ინტერესები ერთ ბლოკში წევრობაზე უფრო მნიშვნელოვანია. არავითარი ბლოკი არ უშველის ტრადიციულად ამბიციურ პოლონეთს, თუ გერმანიამ მოინდომა დაიბრუნოს თავისი ძირძველი მიწა.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო" №25,26

გაგრძელება იქნება

## ქერივები: შვილები და შვილიშვილები მაინც გადაგვირჩინეთ

მოვითხოვთ ჩვენს მშობლიურ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას – ნათქვამია აფხაზეთში დაღუპული მებრძოლების ქვრივთა მიმართვაში საქართველოს პარლამენტისადმი. მასში ნათქვამია, რომ საბრძოლო მოქმედებების გამო წარმოიქმნა მოსახლეობის გარკვეული კონტიგენტი – ომში დაღუპულთა ოჯახები, რომლებიც სიღატაკისა და შიმშილისთვის არიან განწირულნი. საქართველოში ჩინოვნიკების უმრავლესობა არ გრძნობს პასუხისმგებლობას, არ ფიქრობს საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე, დევნილთა დაბრუნებაზე მშობლიურ ადგილებში, არ უქმნის ადამიანებს ელემენტარულ პირობებს. ჩვენი ქმრები დაიღუპნენ, მაგრამ შვილები და შვილიშვილები მაინც გადაგვირჩინეთ, – ნათქვამია განცხადებაში. (BGI)

## ინვალიდები პროტესტს გამოთქვამენ

ომის ინვალიდთა და ვეტერანთა საკოორდინაციო საბჭომ სანქცირებული საპროტესტო აქცია ჩაატარა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების შენობასთან. როგორც BGI-ის კორესპონდენტს ვახტანგ ჯორჯიკიამ განუცხადა, აქციის მონაწილეებმა პროტესტი გამოხატეს საქართველოში რუსეთის ჯარების დისლოცირების გამო. ვაკის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ინვალიდებს შენობასთან მიახლოების უფლება არ მისცეს. ამიტომ ისინი აქციას ქუჩის მეორე მხარეს ატარებდნენ. ინვალიდებმა ვერ მოახერხეს რეუტისთვის ხელში გადაეცათ საპროტესტო წერილი, რადგან ჯარების დაჯგუფების მეთაური თბილისში არ იმყოფებოდა.

## დაფიქსირდა დიფტერიით დაავადების 53 შემთხვევა

მიმდინარე წლის ორი თვის მანძილზე საქართველოში დაფიქსირებულია დიფტერიით დაავადების 53 შემთხვევა. როგორც BGI-ის კორესპონდენტს აცნობა განსაკუთრებით მძიმე დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ, 53 შემთხვევიდან 6 სიკვდილით დასრულდა. მისი თქმით, ექვსივე ადამიანს დიფტერიის საწინააღმდეგო ვაქცინა არ ჰქონდა გაკეთებული. გასული წლის ანალოგიური პერიოდის მანძილზე დაფიქსირებული იყო დიფტერიის 80 შემთხვევა.

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

# სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

## დავით კლდიაშვილი

## „სამანიშვილის დედინაცვალი"

### განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

### არსებული, როგორც შესაძლებლის კარიკატურა

დავით კლდიაშვილი რეალისტი მწერალია, მან სინამდვილე ასახა. ასახა იუმორით, გროტესკით, სატირით, იმავდროულად წერს: ჩემი გმირებისთვის არასოდეს დამიცინიაო. მართლაც, დავითს უყვარს თავისი გაწამებული, კუდაბზიკა და იმავდროულად გასაცოდავებული პერსონაჟები, ამიტომ არის მის თხზულებებში სიცილთან ერთად ცრემლი, კომიკურის გვერდით ტრაგიკული, ანთუ პირიქით. არადა, როგორ ეთავსება ერთმანეთს ერთსა და იმავე პერსონაჟისადმი სატირული დამოკიდებულება და თანალმობა? საქმე ის არის, რომ თვით ის სინამდვილეა გროტესკული, თვით ის ცხოვრებაა ნამდვილი ცხოვრების კარიკატურა, რომელიც დავითმა დაგვიხატა. ცხოვრება როგორიც იყო და ნაწილობრივ დღესაც არის სინამდვილეში.

ადამიანთა არსებობა ცისქვეშეთში არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ ვჭამოთ, ვსვათ, შვილები გავაჩინოთ და როცა დრო მოვა, აქედან ავიბარგოთ. ადამიანები სხვა სულიერთაგან განსხვავებით მხოლოდ ბიოლოგიური არსებანი არ არიან. არადა, სწორედ ის მისია აღარ გააჩნიათ კლდიაშვილის გმირებს, რომლითაც ადამიანი სხვა ცოცხალ არსებათაგან განსხვავდება. ამიტომაც, ადამიანი ადამიანის, ხოლო ცხოვრება ცხოვრების კარიკატურად ქცეულა. ხოლო კლდიაშვილის გმირები იმდენად არიან საცოდავნი და თანალმობის ღირსნი, რამდენადაც მათ „მზამზარეულად" დახვდათ ასეთი ყოფა და ხშირად მათი თავგანწირული შრომაც კი ვეღარაფერს ცვლის... სხვათაშორის, პირველი ზარი, რომ ეს ასე მოხდებოდა, ილია ჭავჭავაძემ ჩამორეკა. მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაჰკარგა და ერთ დროს ქვეყნის თავისუფლების დამცველ თავადაზნაურობას საკუთარ სტომაქზე ზრუნვის „მისიაღა" დარჩა, გაჩნდა თათქარიძეობის სენი. ილიას მკვახე შეძახილმა, სამწუხაროდ, ვერ გამოიღო შედეგი. ჯერ თავის ჯამს ჩამაცქერალი, ფუნქციადაკარგული, (კუჭის ფუნქციას არ ვგულისხმობ), ლუარსაბ თათქარიძის უარყოფითი იდეალის მაგალითი მივიღეთ იდეალური ავთანდილის მაგალითის ნაცვლად, შემდეგ კი თათქარიძეობის მეტასტაზების განვრცობით, ნამდვილი ცხოვრების წილ, ნამდვილი ცხოვრების კარიკატურაღა შეგვრჩა.

კლდიაშვილის გმირები არსებითად მისიადაკარგული თათქარიძის შთამომავალნი არიან, იმ განსხვავებით, რომ ახალმა დრომ კუჭის ფუნქციის გათვალისწინებით, მათგან ფიზიკური შრომა მოითხოვა, სხვა ფუნქცია, როგორც ვთქვი, მათ არ გააჩნიათ. სწორედ ამ აზრით არის კლდიაშვილის მიერ ასახული ცხოვრება ნამდვილი ცხოვრების კარიკატურა.

სწორედ ამიტომ არის გაძევებული დავითის პერსონაჟთა ცხოვრებიდან ყველაფერი ის, რაც ერთ დროს გააჩნდა ადამიანს, არა მხოლოდ როგორც ბიოლოგიურ, არამედ როგორც ღვთაებრივ არსებას.

გაძევებულია სიყვარული;

გაძევებულია მოყვასისათვის თანადგომის ბუნებრივი სურვილი;

გაძევებულია სიახლის, უკეთესის ძიების გრძნობა;

გაძევებულია საერთო ბედნიერების შეგნების უნარი.

ამასთან, კლდიაშვილის სამყაროში პირველიც გვხვდება, მეორეც, მესამეც და მეოთხეც, ოღონდ ნამდვილის კარიკატურული, გროტესკული ფორმით. როგორც ვთქვით, აქ ყველაფერი თავდაყირა დგას. თავდაყირა დგას იმავე მიზეზით, რა მიზეზზედაც ილიამ თათქარიძეობასთან მიმართებაში გაუსვა ხაზი: ადამიანები ჭამენ-სვამენ, ხორცზე ზრუნავენ, არა იმიტომ, რომ იცხოვრონ, არამედ ცხოვრობენ, რათა ჭამონ და სვან, ანუ მათი ყოფიერების საზრისს წარმოადგენს არა ცხოვრება, არამედ არსებობა. ცალ-ცალკე გამოვყოთ თითოეული თემა.

### სიყვარულის კარიკატურული არსი

კი, სიყვარული გაძევებულია დავითის პერსონაჟთა ცხოვრებიდან. თქვენ ვერ ნახავთ მის თხზულებებში ამურის ისრით დაჭრილ ქალ-ვაჟთა ფრთოლვასა და ჩურჩულს. სიყვარული მხოლოდ გარიგების, ალებ-მიცემობის, ქალის ოჯახისათვის კუდის რიკამდე გატყავების, ვაჟის ოჯახისთვის კი ქონების შეძენის საშუალებად ქცეულა. თუმცა „სამანიშვილის დედინაცვალში" ისეთი სიუჟეტია გამოყენებული, რომ არა მისი კარიკატურული ფორმა და არსი, შუა საუკუნეების საგმირო-სატრფიალო რომანები გაგახსენდებოდათ.

როგორია კლასიკური მოდელი სატრფიალო რომანებისა?

ვაჟი, ბედაურზე ამხედრებული, მიდის სატრფოს საძებნელად და გზადაგზა საგმირო ამბებს ჩადის. ბოლოს პოულობს თავის გულისწორს, მრავალფათერაკგამოვლილი გამოიტაცებს სატრფოს და შემოიქცევა შინ.

ეს ყველაფერი „სამანიშვილის დედინაცვალშიც" არის, ოღონდ, ვიმეორებ, საოცრად გროტესკული ფორმით და არსით. რაც მთავარია, მწერალი ამ ფორმას შეგნებულად კი არ მიმართავს სასიყვარულო თავგადასავლების კლასიკური მოდელის ირონიზირების მიზნით, როგორც ეს სერვანტესის „დონ კიხოტშია", არამედ თვით ცხოვრება, კარიკატურული სინამდვილე სთავაზობს ფათერაკიანი თავგადასავლების სასაცილო და გროტესკულ სიუჟეტს.

პლატონიც „ბედაურზე" ამხედრებული გამოდის შინიდან. ოღონდ სანახევროდ ეს „ბედაური" მიაჩაჩაკებს გამწარებით მხედარს, სანახევროდ კი მხედარი მიათრევს წყველა-კრულვით თავის „რაშს"...

პლატონს უანგარო დახმარებას სთავაზობს კირილე მიმინაშვილი, ისე როგორც ტარიელს ავთანდილი, იმ განსხვავებით, რომ ტარიელი და ავთანდილი ფათერაკიან გზაზე მტერს ავლებენ მუსრს, კირილე და პლატონიც, „რაღა თქმა უნდა", ოღონდ მეორე დღეს კარგა ნაბეგვნი და ჩოხაშემოფხრეწილნი იღვიძებენ და ირკვევა, რომ უაზრო გაწევ-გამოწევასა და დავიდარაბაში შეცდომით ერთმანეთისთვისაც უთავაზებიათ ლაზათიანად მუშტები (?) ეს ჩვენი გაჭირვებულებიც ქალს ეძებენ, ოღონდ ბერიკაცისათვის მისაგვრელ უშვილძირო ბებრუხანას...

ამათი „ოცნების ქალიც" გამოსატაცებელია, ოღონდ ყამარის კოშკიდან ან ქაჯეთის ციხიდან კი არა, შიმშილით მისავათებული ბრეგაძეების ფარღალალა ქოხიდან, რომელთაც ერთი სული აქვთ, იქნებ ზედმეტად სარჩენი დედინაცვალი გამოაკლდეს მათ საერთო სალაფავს...

ახლა ისიც გაიხსენეთ, პლატონი თავის საიდუმლოს (ხამს მიჯნური ხვაშიადსა არავისთან ამჟღავნებდეს) რა გაჭირვებით ამოულერღავს არისტო ქვაშავიძეს... ერთი სიტყვით, „ყველაფერი" აქაც ისეა, როგორც საგმირო-სატრფიალო რომანებში, ანუ მთელი კურიოზულობა პლატონის საგასი უფრო თვალსაჩინოა ამ სატრფიალო-სარაინდო რომანების კონტრასტის ფონზე.

ფათერაკები, დავიდარაბა, ბეკინას საცოლეს გამო ხდება. ცნობა ამ ქალის შესახებ თხზულების დასაწყისშივე გაიელვებს. პლატონს დამგზავრებული პირველივე კაცი, ივანე გვერდევანიძე, სწორედ ამ ქალს ახსენებს. მერე და მერე ისევ ამ ქალის სახელი გაიელვებს. მოკლედ, ქალი არა ჩანს, მის გამო კი, მის ძებნაში, მთელი ოდისეის მოწმენი ვხდებით და რადგან ოდისეა ვახსენეთ, კიდევ ერთ კურიოზსაც გავუსვათ ხაზი, – არ ვიცი, შეგნებულად გააკეთა ეს დავითმა, თუ შემთხვევითობაა – იმ დედაბერს, რომლის ძიებაში სათავგადასავლო საგას მოწმენი გავხდით, ელენე ჰქვია. ის პირმშვენიერი ასულიც, ტროას ომისა და ჰომეროსის გმირების ფათერაკიანი თავგადასავლების მიზეზი რომ გახდა, ელენე იყო... ამ ორი ელენეს გვერდიგვერდ ხსენებით კი კიდევ ერთხელ შეიძლება დავასკვნათ: კლდიაშვილის სინამდვილე თავისი პერსონაჟებითურთ მართლაც ნამდვილი ცხოვრებისა და ვნებების კარიკატურული გამოვლინებაა. ტრაგიზმი თავისთავად უკვე ამ ფაქტშია გამოხატული...

### მოყვასის ცრუ სიყვარული

როდესაც დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა ცხოვრების უკუღმართ წესზე ვლაპარაკობთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ იციან, როგორია ცხოვრების წაღმართი წესი.

თეორიულად მათ მშვენივრად უწყიან, რომ უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი. კურიოზიც და მათი შინაგანი ტრაგიზმიც სწორედ იმაშია გამოხატული, რომ ვერ ახერხებენ ცხოვრობდნენ ისე, როგორც ბუნებრივია ადამიანისათვის, იმავდროულად კი, თავს ისე წარმოგვიდგენენ, თითქოს სწორედ ბუნებრივი, კეთილშობილი გრძნობებითა და ვნებებით ცხოვრობენ...

ნახეთ, როგორ უყვართ მამა, ნათესავი, მეზობელი, საერთოდ ადამიანი „სამანიშვილის დედინაცვალის" გმირებს:

დედის გარდაცვალების შემდეგ პლატონმა და მისმა მეუღლეს „გაარკვეცეს მოხუცებული მამის პატივისცემა და მოვლა; ორივენი გაფაციცებით თავს დასტრიალებდნენ დაქვრივებულ ბეკინას და თავგამოდებით ემსახურებოდნენ, თვალში შეჰყურებდნენ, რომ ყოველ მის სურვილსა და საწადელს მისგან გამოთქმამდის მიმხვდარიყვნენ და იმწამსვე აესრულებინათ".

აქ მოხუცი მამისადმი სიყვარულის გულისამაჩუყებელი სურათია გადმოცემული.

როცა კირილე შეიტყობს, თუ რა საქმეზე მიადგა მას პლატონი, მყის მზაობა გამოამჟღავნა თანადგომისათვის:

„მეც შენთან ვარ მძებნელი, როგორც კაცი! ძმობას გეფიცები, არაფრის გულისთვის არ დაგშორდები!"

აქ სიძე-ცოლისძმის ერთობა მოგხიბლავთ.

„პლატონ, სატირალში არ მიდიხარ?" – ესეც კირილეა, სხვისი ჭირიც რომ ახსოვს თავის გზაზე მიმავალს...

არისტო ქვაშავიძემ პლატონის მოგზაურობის მიზეზი რომ გაიგო, პირდაპირ მოყვასისთვის თავგადადებულ რაინდად იქცა და უანგაროდ სთავაზობს სამსახურს პატიოსანი კაცი, როგორც პატიოსან კაცს:

„პირველი შეხედვიდანვე ჩემი გული მოიგე და ამიტომ განვიზრახე შენთან დამოყვრება, დანათესავება"-ო, უცხადებს.

ახლა ამ მოყვასის სიყვარულით „დამდნარი" ხალხის საქციელის ნამდვილი მოტივები გავიხსენოთ:

პლატონი და მელანო იმიტომ ევლებიან თავს მოხუც ბეკინას, რომ ამ უკანასკნელმა ცოლის მოყვანა არ გაივლოს გულში!

კირილე ერთობის გამო კი არა, ღვინისა და გართობის საძიებლად მიჰყვება სინამდვილეში სიძეს.

სატირალშიც, ცხადია, „ქეიფის ხათრით" უნდა წასვლა და არა ცრემლების საღვარღვაროდ.

ამ შერჩენებულ არისტო ქვაშავიძეს კი მამიდის გათხოვება და სამანიშვილების დამოყვრება ერთადერთი მიზნით სურს, როგორმე საქვრივო წაართვას ამის გარეშეც დაქცეულ ქვედურეთელ ბრეგაძეებს.

ასე რომ, დავითის გმირებში მოყვასის სიყვარულის წაღმართი გრძნობაც უკუღმართი ვნებებითაა შეცვლილი.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო" №25,26

# როცა ენას გვბლეჯდნენ...

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე

**გრ.აბაშიძე** – ისევ თავიდან დავიწყო? ე.ი. როცა დადგა რესპუბლიკების კონსტიტუციების შემუშავების საკითხი, დაიდეს ყველა კონსტიტუცია და აღმოჩნდა, რომ მარტო სამ რესპუბლიკას ეწერა ეს – საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს, რომელმაც გვიან შეიტანა ეს მუხლი. თქვეს – ჩვენ, ყველას გვაქვს თანაბარი უფლებები და შემდეგ ეს გაამაგრეს იმით, რომ აღმოჩნდა, რომ ლენინი არის სახელმწიფო ენის წინააღმდეგი და მოიტანეს სათანადო ადგილი ლენინის შრომიდან. ჩვენ თუ ჩავწერეთ და სხვას არაფის არ ეწერება, მარტო ჩვენ არ ჩაგვიწერენ.

**თავმჯდომარე** – მეგობრებო, მე მგონია, შევთანხმდით ამ წინადადებაზე, როგორც ბრძანა ბატონმა გრიგოლმა. ამას ყველაფერს დავამუშავებთ და ხვალ მივართმევთ.

**მ.ლებანიძე** – რეზოლუციაში უნდა ეწეროს ის, რაც ვთქვით – თუ არ იქნება მიღებული ეს შესწორებები, კონსტიტუციას არ უჭერს მხარს მწერლობა.

**გრ.აბაშიძე** – იმისთანა რამეს ნუ გავაკეთებთ, რომ საქართველო დაბეზღებული იყოს. არ გვეკადრება, მურმან! ნუ წავალთ საოცარ სკანდალზე.

**მ.ლებანიძე** – ჩავწეროთ – არ ვუჭერთ მხარს ამ სახით და ვუჭერთ, თუ იმ სახით იქნება.

**გრ.აბაშიძე** – მაშასადამე, ასეთი რედაქციით ჩავწეროთ ჩვენს ოქმში – კონსტიტუციის ამ პროექტის 75 მუხლს არ უჭერს მხარს და დაუჭერს მხოლოდ ამ შესწორებით, იქნება ასე: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კულტურული და სხვა დაწესებულებები თავის საქმიანობას წარმართავენ რესპუბლიკის ენაზე – ქართულ ენაზე, საქართველოს სსრ ახორციელებს ქართული ენის ყოველმხრივ განვითარებას და შემდეგ ამ მუხლის მეორე ნაწილი... რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება" ამას ამოვიღებთ. ბატონმა კობა იმედაშვილმა კარგად სთქვა: „რაიმე დისკრიმინაციები ამა თუ იმ ენის ხმარებაში დაუშვებელია" (დარბაზში ხმაური).

**ქელიძე** – რესპუბლიკის ენა, ღერბი რომ არის, იმასთან უნდა იყოს. იქ უნდა იქნას რესპუბლიკის ენა.

**გრ.აბაშიძე** – იქაც იყოს და აქაც. პირველი მუხლი შესავალ ნაწილში გავასწოროთ.

**თავმჯდომარე** – დავამთავროთ!

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო" №4-26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სულის ზრდა

# წმიდა 40 სებასტიელი მოწამე

303 წ. წმ. კონსტანტინე დიდმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ქრისტიანებს თავისუფალი აღმსარებლობის ნება ეძლეოდათ, და რადგანაც კონსტანტინე დიდის თანამმართველი ლიკინიუსი წარმართი იყო, თავისი იმპერიის ნაწილებში ქრისტიანობის აღმოფხვრა გადაწყვიტა. იგი კონსტანტინეს წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა და თან იმ ქრისტიანების ღალატის ეშინოდა, რომელნიც მის ჯარში მრავლად იყვნენ.

იმ დროს სომხეთის ქალაქ სებასტიაში ერთ-ერთ მხედართმთავრად წარმართი აგრიკოლაი მსახურებდა. იგი ორმოცი კაბადოკიელისგან შემდგარი რაზმის ზედამხედველი იყო. ის კაბადოკიელები ქრისტიანი მამაცი მეომრები იყვნენ. მათ წარმართულ სალოცავებისთვის მსხვერპლშეწირვაზე უარი განაცხადეს, რის გამოც აგრიკოლაიმ ისინი საპყრობილეში ჩასვა. მეომრებმა მხურვალე ლოცვა დაიწყეს. მათი ლოცვა შესმენილ იქნა. და აი, ერთხელაც ღამით ხმა გაიგონეს: „ვინც ბოლომდე დაითმენს, იმას მოელის ხსნა“.

მეორე დილით, როდესაც მეომრები კვლავ აგრიკოლაისთან მიიყვანეს, იგი ფარისევლობით შეეცადა მათ გადმობირებას. შეაქო მათი სიმამაცე და ახალგაზრდული ძალა. შემდეგ კი, სთხოვა უარეყოთ ქრისტე და წარმართობა ეღიარებინათ. როდესაც აგრიკოლაიმ მათგან უარი მიიღო, კვლავ მათი საპყრობილეში ჩასმა ბრძანა.

შვიდი დღის შემდეგ, სებასტიაში ცნობილი დიდგვაროვანი ლისიუსი ჩამოვიდა და მეომრები გაასამართლა. წმინდანები მტკიცედ პასუხობდნენ: „აიღე არა მარტო ჩვენი საბრძოლო წოდება, არამედ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენთვის ქრისტე ღმერთზე უფრო ძვირფასი არაფერია“.

მაშინ ლისიუსმა წმ.მოწამეების ქვებით ჩაქოლვა ბრძანა. მაგრამ ნასროლი ქვები მეომრებს არ ხვდებოდათ. ქვები, რომელთაც ლისიუსი ისროდა, აგრიკოლაის მხრებს ხვდებოდა. მწამებლები მიხვდნენ, რომ წმინდანებს რაღაც უხილავი ძალა იცავდა. საპყრობილეში მეომრებმა კვლავ უფლის ხმა გაიგეს, რომელიც მათ ამშვიდებდა და ამხნევებდა.

მეორე დღეს სასამართლო დაკითხვა კვლავ განმეორდა, მაგრამ მეომრები შეუორგებელნი იდგნენ.

იდგა ზამთარი, იყო საშინელი ყინვა. მეომრებს ტანსაცმელი გაახდევინეს, ქალაქის ახლომდებარე ტბასთან წაიყვანეს, მთელი ღამის განმავლობაში ყინულზე დააყენეს და მცველები მიუჩინეს. იმისათვის, რომ მათი ნებისყოფა გაეტეხათ, იქვე, ახლოს ნაპირთან აბანო გაახურეს. ღამის პირველ საათზე, როდესაც ყინვა აუტანელი გახდა, ერთ-ერთმა მეომარმა ვერ გაუძლო და აბანოსკენ გაიქცა, მაგრამ როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, მაშინვე უსულოდ დაეცა. ღამის სამ საათზე უფალმა შვება გამოუგზავნა მოწამეებს, უცებ გარშემო ყველაფერი განათდა, ყინული დადნა და ტბაში წყალი გათბა. ყველა მცველს ეძინა, ფხიზლობდა მხოლოდ ერთი, აგლაი. როდესაც მან ტბას შეხედა, დაინახა, რომ ყოველ მოწამეს თავზე ნათელი გვირგვინი ედგა. აგლაიმ 39 გვირგვინი დაითვალა და მიხვდა, რომ გაქცეულმა მებრძოლმა იგი ვერ მიიღო. მაშინ, აგლაიმ სხვა მცველები გააღვიძა, გაიხადა ტანსაცმელი და მათ უთხრა: „მეც ქრისტიანი ვარ“ და მოწამეებს შეუერთდა.

როცა დილით მწამებლებმა ცოცხალ მოწამეებთან ერთად ერთ-ერთი მათი მცველი აგლაი ღვთის დიდებით იხილეს, განრისხდნენ, მეომრები წყლიდან ამოიყვანეს და წვივები გადაუტეხეს. ამ ყველაზე მტანჯველი სასჯელის დროს ყველაზე ახალგაზრდა მეომრის – მელიტონის დედა, შვილს რომ არ შეშინებოდა, ამხნევებდა და სატანჯველის დათმენისაკენ მოუწოდებდა. მოწამეთა სხეული ეტლზე დადეს და დასაწვავად წაიღეს. ახალგაზრდა მელიტონი კიდევ სუნთქავდა და იგი მიწაზე დატოვეს. მაშინ დედამ შვილი აიყვანა და მხრებით ეტლთან მიიყვანა, ხოლო როდესაც მელიტონმა სული განუტევა, დედამ იგი სხვების გვერდზე ეტლზე დააწვინა.

წმიდა სხეულები კოცონზე დაწვეს, ხოლო დანახშირებული ძვლები წყალში გადაყარეს, რათა ქრისტიანებს ისინი არ შეეგროვებინათ.

სამი დღის შემდეგ მოწამეები სიზმრად გამოეცხადნენ ნეტარ პეტრეს, სებასტიის ეპისკოპოსს და მათი ნაწილების დამარხვა დაავალეს. და მართლაც, ეპისკოპოსმა სხვა ქრისტიანთა დახმარებით წმიდა ნაწილები შეაგროვა და დიდი პატივით დაკრძალა.

მედეა-მარიამ მელაძე

# საქართველოს ეკლესიას არ ეკუთვნის სვეტიცხოველი

**BGI- ის კორესპონდენტი ნელი მჟავანაძე ესაუბრა საქართველოს საპატრიარქოს პრეს-სამსახურის უფროსს, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ეკლესიის მოძღვარს, დეკანოზ ბასილს (კობახიძე)**

***– რა პრობლემების წინაშე დგას საპატრიარქო?***

– 1990 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ყველა ტაძარი, ეკლესია და მონასტერი საკუთრებაში გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს. 1993 წელს მიიღეს კანონი საკუთრების შესახებ. ამ კანონის მიხედვით, ტაძრები, ეკლესიები და მონასტრები წარმოადგენენ ისტორიულ ძეგლებს, ეს არის სახელმწიფოს განსაკუთრებული საკუთრების ობიექტები და არ შეიძლება რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში მათი გადაცემა. ამჟამად ჩვენს საპატრიარქოს მხოლოდ ის ტაძრები ეკუთვნის, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში აიგო. ყველა დანარჩენი, ფაქტიურად, ჩამოგვართვეს.

***– საპატრიარქო მონაწილეობდა ამ კანონის შემუშავებაში?***

– როგორც ასეთი, კანონის არსებობის შესახებ, რა თქმა უნდა, ვიცოდით, მაგრამ მის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიგვიღია. ზემოთ ნახსენები პუნქტის შესახებ კი სრულიად შემთხვევით გავიგეთ სამი წლის შემდეგ.

***– გამოდის, ამ სამი წლის განმავლობაში, ეკლესიებში წირვების ჩატარებისას მღვდლები კანონს არღვევდნენ?***

– კანონის დარღვევას ამას მაინც არ ვუწოდებთ, მაგრამ გამოდის, რომ დღეს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას არ ეკუთვნის სვეტიცხოველი, ან ალავერდი.

***– რის გაკეთებას აპირებს საპატრიარქო?***

– უკვე გითხარით, რომ ამ ფაქტის შესახებ ახლახანს შევიტყვეთ. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას. ჩვენ პასუხს ველით. ფაქტია, რომ საკითხის ამგვარად დაყენება მიუღებელია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის. მისი ინტერესები სავსებით უგულვებელყოფილია.

● დიალოგი



**ფეხბურთის პრობლემებზე საუბრობენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე და ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ნოდარ ახალკაცი**



# ჩვენი „დინამო“ პორტოში რომ ჩავიდა, უკვე ცხრა ფეხბურთელი ჰყავდათ გაყიდული

**გურამ ფანჯიკიძე** – დავიწყოთ ცოტა შორიდან: პორტუგალიიდან რომ დავბრუნდით, აეროპორტშივე მკითხეს, ამოდენა ანგარიშით როგორ წააგეთო. გულწრფელად უნდა ვთქვა, პორტოში რომ მივემგზავრებოდი, არამცთუ მოგების, ლამის ყაიმის იმედიც კი არ მქონდა. თუმცა, საბოლოო ანგარიშში არც მთლად უიმედოდ ვიყავი: თუ მხოლოდ 2:1 წავაგებდით, საბოლოო ჯამში გამარჯვებულები გამოვდიოდით. 2:1 ან 3:2 წაგება კი, რომელიც ჩვენს გამარჯვებას ნიშნავდა, გარკვეულ იმედებს მაინც იძლეოდა. ისიც ნათელი იყო, რომ მასპინძლები პირველი წუთებიდანვე შემოგვიტევდნენ, ყველაფერი უნდა გველონა, რომ დასაწყისში 15 წუთის მანძილზე მაინც არ გაგვეშვა გოლი. მერე შეიძლებოდა აზარტში შესული მასპინძლების კონტრიერიშზე წამოგება.

სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა.

გვქონდა თუ არა გამამართლებელი მიზეზები?

რასაკვირველია, გვქონდა.

პირველი ის იყო, რომ პორტოში შესუსტებული შემადგენლობით ჩავედით. კალაძისა და მაჭავარიანის არყოფნა ძალიან დაეტყო დაცვას.

მეორე მიზეზი დროში დიდი განსხვავება გახლდათ, – 5 საათი! აკლიმატიზაციისათვის, რასაკვირველია, არ კმაროდა ორი დღე (ფაქტობრივად, დღენახევარი).

მესამე მიზეზიც ძალზე მნიშვნელოვანი იყო, არაობიექტური მსაჯობა და ჩვენი ფეხბურთელის გაძევება მე-19 წუთზე.

ვთქვათ, არ ყოფილიყო ეს მიზეზები, გავიმარჯვებდით?

არა მგონია; და აი, რატომ. ჯერ მოკლედ ვიტყვი, რა ვუპასუხე ჩემს მეგობარს, აეროპორტში რომ მკითხა, ამოდენა ანგარიშით როგორ წააგეთო. ჩვენი „დინამო“ რომ პორტოში ჩავიდა, უკვე ცხრა ფეხბურთელი ჰყავდათ გაყიდული. ისინი კი ხუთი ნაყიდი ფეხბურთელით გვეთამაშებოდნენ-მეთქი. მათ ასევე „ნაყიდი“ იუგოსლაველი მწვრთნელი დაუმატეთ, ლამის ევროპის ნაკრები გვეთამაშებოდა.

რატომ ვყიდით ფეხბურთელებს? იმიტომ, რომ ბევრი გვყავს? ალბათ, გაჭირვების გამო ვყიდით.

ამიტომ ჩვენი დამარცხების მიზეზი ფეხბურთელთა უგუნებობა, მსაჯის მიკერძოება, წამყვანი ფეხბურთელების ავადმყოფობა და ან სხვა ფაქტორები როდია! მთავარი მიზეზი უფრო დიდი და ღრმაა. მძიმე სოციალური პირობების გამო უჭირს ჩვენს ფეხბურთს, უჭირს ისევე, როგორც ქართულ მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას, მთელს ქვეყანას!

ვლადიკავკაზის „სპარტაკის“ მწვრთნელის ვ.გაზაევის ინტერვიუდან შევიტყვეთ, რომ მარტო ამ ერთ გუნდს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 1,5 პროცენტი ჰქონია გამოყოფილი. საქართველოში კი მთელს მწერლობას, ხელოვნებასა და სპორტს ერთად აღებულს – 1,5 პროცენტი სანატრელიც კი გვაქვს.

რასაკვირველია, უჭირს ქვეყანას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველო დღეს იმკვიდრებს კუთვნილ ადგილს პლანეტის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ რუკებზე.

საქართველოს ნაკრებთან ერთად რომ ჩავედით იტალიაში, ხუთი დღის მანძილზე არც გაზეთებს დაუბეჭდიათ რამე ქართულ ფეხბურთზე და საქართველოზე (ერთ სპორტულ გაზეთში ა.ჩივაძის პატარა ინტერვიუს გარდა) და არც ტელევიზიით ყოფილა რაიმე გადაცემა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იტალიელებმა (ათეულებს და ასეულებს არ ვგულისხმობ) არც კი იცოდნენ, ვინ ვიყავით და საიდან ჩავედით. მატჩის შემდგომ კი, ქართველების თამაშით აღფრთოვანებულმა 60 მილიონმა იტალიელმა უკვე იცოდა, რომ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც საქართველო ჰქვია.

არაა ეს პატარა ამბავი.

უფრო მნიშვნელოვანი კი მაინც მეორეა. ფეხბურთელთა წარმატება ახალგაზრდობის სპორტისა და ფიზკულტურისაკენ მიბრუნებას უწყობს ხელს. საქართველოში სპორტის არცერთი სახეობა არ იწვევს ისეთ აჟიოტაჟს, როგორც ფეხბურთი. და დღეს, როცა ჩვენი ახალგაზრდობა იხრჩობა ნარკომანიის ჭაობში, წარმოვიდგინოთ, საფეხბურთო წარმატებანი რამდენად შეუწყობს ხელს ნორჩი თაობის სპორტით გატაცებას. დღევანდელ პირობებში ჩვენ ვერავითარი პატრიოტული მოწოდებით ვერ შევინარჩუნებთ ნიჭიერ ფეხბურთელებს. ჩვენი გუნდების დონე ვერასდროს ვერ ამაღლდება საშუალო დონემდეც კი. უცხოეთში წასულ ფეხბურთელებს კი მხოლოდ ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ თუ მოვიწვევთ, მშობლიურ კლუბებში თამაშის უფლება მათ არა აქვთ. და აი, ახლა კვლავ გაიყიდა, თუ არ ვცდები, ხუთი თბილისის დინამოელი. ან რაში იხარჯება ის ფული, რომელიც გუნდს ამ ფეხბურთელების გაყიდვით შემოსდის, ან ყველა ნიჭიერი ფეხბურთელის გაყიდვა საბოლოოდ არ გაანადგურებს ქართულ ფეხბურთს?

**ნოდარ ახალკაცი** – ბატონო გურამ, თქვენ მიერ ბევრ წამოჭრილ პრობლემაზე თავადვე გაეცით პასუხი, ისღა დამრჩენია, დაგეთანხმოთ. ხოლო რაც შეეხება ფეხბურთელთა საზღვარგარეთ წასვლას, საქმე იმაშია, რომ ე.წ. ბოსმანის საქმის შემდეგ, ევროკომისიამ მათი დაკავება ადამიანის უფლებათა დარღვევად გამოაცხადა. ასე რომ, უძლურები ვართ, მაგრამ დამერწმუნებით, როგორც კი გამოსწორდება სოციალური სიტუაცია, მკვეთრად შეიცვლება სურათი. დღეს კი ჩვენი ბიჭები მიდიან და თუ გადასვლა გონიერი იქნება, ისინი ოსტატობასაც აიმაღლებენ. რაც შეეხება ქართულ ფეხბურთს, დამერწმუნეთ, მას განადგურება არ ემუქრება.

**გურამ ფანჯიკიძე** – დღეს საქართველოში ფეხბურთის განვითარებას ისიც უშლის ხელს, რომ არ გაგვაჩნია თანამედროვე დონის საწვრთნელი ბაზები, სარეაბილიტაციო ცენტრები. ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, თუ გუნდები უმაღლესი რანგის კლუბების პროგრამებით ივარჯიშებენ, ერთ ვარჯიშზე წონაში სამ და მეტ კილოგრამს იკლებენ. სათანადო სამედიცინო მომსახურებისა და რეაბილიტაციის გარეშე როგორ გაუძლებენ ფეხბურთელები ასეთ დატვირთვას? შედარებით ნორმალური პირობები მხოლოდ თბილისის „დინამოს“ გააჩნია. ამიტომაც არის იგი ქვეყნის მუდმივი ჩემპიონი. მაგრამ განა ჩვენი პირველი გუნდი მაშინაც მთელი მონდომებით მოემზადება, როცა იცის, რომ შეხვედრა გაცილებით სუსტ გუნდთან უწევს და ეს სიტუაცია თვით პირველი გუნდის შესაძლებლობაზეც ხომ ახდენს ცუდ ზეგავლენას? ზემოთნახსენები პირობების გამო სხვა გუნდები კი ვერ ამოვლენ თბილისის „დინამოს“ დონემდე, პირიქით, თბილისის „დინამო“ დაბალანსირდება მათ შესაძლებლობებთან. იქნებ ვცდები?

**ნოდარ ახალკაცი** – ფედერაცია ყველა ღონეს ხმარობს, რათა გაუმჯობესდეს გუნდების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა. ამ საკითხების მთელი რიგი განხილული იქნა აღმასკომის სხდომაზე, დაიხვეწება და გამოქვეყნდება საინფორმაციო სამსახურის ბიულეტენში. ჩვენი გუნდები ნელ-ნელა მაინც მიიწევენ წინ და 4 გუნდის მონაწილეობა ევროტურნირებში კარგი სტიმულია ოსტატობის ასამაღლებლად და სათანადო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. შეკეთდა სტადიონები ბათუმში, ფოთში და ზესტაფონში. ამოძრავდა ქუთაისი. გაუკეთდება რეკონსტრუქცია ბ.პაიჭაძის ეროვნულ სტადიონსაც და ა.შ.

**გურამ ფანჯიკიძე** – განვლილმა საშინელმა წლებმა მძიმე დაღი დაასვა ჩვენს ახალგაზრდობას. მარტო სულიერ სიმახინჯეებს როდი ვგულისხმობ. ახალგაზრდობა ფიზიკურადაც დაჩიავდა და დაჭიანდა. რამდენადაც მე ვიცი, ამ წლების მოზარდი თაობა ნორმაზე 7-10 სანტიმეტრით დაბალია. იგრძნობა თუ არა ფეხბურთში ეს მოვლენა?

**ნოდარ ახალკაცი** – ეჰ, ბატონო გურამ, ეგ ძალიან გვაწუხებს. როცა ზამთარში ჩვენი პატარების თავგანწირულ ვარჯიშს შევესწრებით ხოლმე და იმის გაფიქრებაც მზარავს, რომ ისინი არათუ ვერ დაიბანენ, არამედ კვებით სრულ რეაბილიტაციასაც ვერ მოახდენენ. ეს საგანგაშოა და მასზე მთელმა ქვეყანამ უნდა გამოიღოს ხელი. სპარტელები არ ცდებოდნენ, როცა ამბობდნენ – ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო. ყველამ, ყველამ უნდა გამოვიღოთ ხელი, რათა გადავარჩინოთ ჩვენი გენოფონდი და ყველა ამ საკითხში ქართული მწერლობით თანადგომის იმედი გვაქვს, რომლის თავკაციც თავად ბრძანდებით.

**გურამ ფანჯიკიძე** – პირადად მე მიმაჩნია, რომ დიდი ფეხბურთელების აღსაზრდელად მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატი არ კმარა. გუნდი რეგულარულად უნდა იყოს ძლიერ კოლექტივებთან სათამაშოდ შემართული. იქნებ გვეფიქრა ამიერკავკასიის ჩემპიონატის ან თასის მოწყობაზე? ან, ვთქვათ, შავიზღვისპირეთის ქვეყნების თასზე?

**ნოდარ ახალკაცი** – „ამიერკავკასიის თასი“ ურიგო აზრი არ არის, მაგრამ საერთაშორისო კალენდარი ისე არის გადატვირთული, რომ ამის განხორციელება შეუძლებელია ოსტატთა გუნდებისათვის. მხოლოდ 14-16 წლამდე ბავშვებისათვის შეიძლება მოეწყოს.

**გურამ ფანჯიკიძე** – მიგაჩნიათ თუ არა სწორად თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნა (პირადად მე მიმაჩნია) – რისი იმედები გაქვთ და რას უნდა ველოდოთ უახლოეს წლებში ქართველი ფეხბურთელებისაგან?

**ნოდარ ახალკაცი** – დავით ყიფიანის დანიშვნას მთელმა ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა დაუჭირა მხარი. აქვე არ შეიძლება ა.ჩივაძის განუზომლად დიდი ღვაწლის დავიწყება. მას აღმასკომმა და პირადად მეც დიდი მადლობა გამოვუცხადეთ. ვფიქრობ, ნაკრების ახალი ხელმძღვანელობა თავს არ დაზოგავს, რათა წარმატებით გაართვას თავი დაკისრებულ მოვალეობას, ფეხბურთის ფედერაცია კი მათ მხარში ამოუდგება.

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 4 ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში საერთო ფართით 220 კვ.მ რემონტით, სარდაფით, ტელეფონით, მანქანის სადგომით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37–77–50

იყიდება 2 ოთახიანი, მაღალჭერიანი, გარემონტებული ბინა მეტრო „წერეთლის" პირდაპირ იტალიურ ეზოში, II სართულზე. ფასი 14000 დოლარი ტელ. 96–69–75

იყიდება ნაკვეთი 600 კვ.მ. მშენებარე ბინით, პირველი სართული ამოყვანილია. ტელ. 62–38–48 ან 62–06–26 პაატა ან ვახტანგი

იყიდება 2 ოთახიანი (ან იცვლება 1 ოთახიანზე ამავე რაიონში) არასტანდარტული ბინა, საერთო ფართი 70 კვ.მ, საცხოვრებელი ფართი 42 კვ.მ, ჭერი 3X10 რკინის კარებით, სარდაფით, მანქანის სადგომით, ტელეფონით, საკაბელო ტელევიზიის ხაზით. მის. საირმის ქ.№11 II სად. I სართული, ბინა №30, მაღალი ბელეტაჟით. საწყისი ფასი 22000 დოლარი. ტელ. 38–22–20; 37–75–93

იყიდება 3 ოთახიანი არასტანდარტული ბინა ორმხრივი მიშენებით საბურთალოს ცენტრში. საერთო ფართი 160 კვ.მ, სიმაღლე 3 მ. ფასი 40000 დოლარი ტელ. 38–01–11

დუშეთის რ–ნში სოფ. საშაბუროში სასწრაფოდ და იაფად იყიდება ან იცვლება ახალი აშენებული 2 სართულიანი ბინა. უმაღლესი კაპიტალური რემონტით, კეთილმოწყობილი. 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთით. საწყისი ფასი 20000 დოლარი (გვაწყობს თანხის ეტაპობრივი გადახდა). ტელ. 68–82–09 გოგი

იყიდება 3 ოთახიანი გარემონტებული არასტანდარტული ბინა ჭავჭავაძის გამზირზე, მეორე სართულზე. საერთო ფართი 120 კვ.მ ფასი 70000 დოლარი ტელ. 38–01–11

იყიდება კაპიტალურად ნაშენი ორსართულიანი აგარაკი დიდი ვერანდებით ქვიშხეთში შინმოუსვლელთა ობელისკიდან 100 მეტრში, დ.ყიფიანის ქუჩაზე საკუთარი ტელეფონითა და ავტონომიური წყალმომარაგებით. საწყისი ფასი 20000 ლარი. ტელ. 99–58–48

იყიდება გაგარინის მოედანთან კერძო 3 სართულიანი სახლის I-II სართული. საერთო ფართი 250 კვ.მ საგარაჟე ადგილით და 200 კვ.მ ხეხილიანი ეზოთი. ფასი 75000 დოლარი. ტელ. 37–47–16

იყიდება ოროთახიანი გარემონტებული კუთხის ბინა, ნუცუბიძის პლატო მე–4 მკრ–ნი, მე–14 კორპუსი, II სადარბაზო, მე–7 სართული. ბინა 63. ფასი შეთანხმებით. ტელ. 31–41–17; 31–22–15.

იყიდება სასწრაფოდ 5 ოთახიანი მშენებარე ბინა ვაკეში საცურაო აუზთან, 200 კვ.მ საერთო ფართით, მე–2 სართულზე. ფასი 36000 დოლარი. ტელ. 29–18–57

იყიდება საკუთარი სახლი ეზოთი. საწისი ფასი 25000 დოლარი. ტელ. 29–34–29 ნანა

იყიდება 3 ოთახიანი ბინა დოლიძის ქ.№14, მე–8 სართული. ტელ. 36–39–32. ფასი 30000 ლარი. დათო ან მალხაზი.

იყიდება 2 სართულიანი კერძო ბინა, ტელეფონით, ვერანდით, მანქანის დასაყენებელი ადგილით ეზოში. ფასი 14500 დოლარი. მის. პიონერის ქ №46 (ნაძალადევის რ–ნი). ტელ. 68–23–00 თამაზი

## სხვადასხვა

იყიდება კონდიციური სოიო მაიონეზის წარმოებისთვის 20 ტონა. 1 კგ-ის სარეალიზაციო ფასი 1,2 ლარი. ყვითელი სიმინდი ტარათი 30 ტონა. 1 კგ–ის ფასი 16 თეთრი. ტელ. 96–10–50 თამაზი

სასწრაფოდ იყიდება შემდეგი სახის მასალები: რკინის კარები, პატარა და დიდი თავისი ღობით. უჟანგავი ბადე უგოლნიკში ჩასმული 40 მეტრი. ფასი 1000 დოლარი. რკინის კუთხოვანა („უგოლნიკი") სხვადასხვა ზომის. ერთი მეტრის ფასი 2 ლარი. შუშა 4 მილიმეტრიანი 1 კვ.მ 12 ლარი. შიფერი რუსეთის 25 ცალი 2 მეტრი 1-ზე ფასი 8 ლარი. აგური ცეცხლგამძლე 300 ცალი. 1 ცალის ფასი 1 ლარი. დეესპე 2 ცალი 270/170 ფასი 30 ლარი, ფანერა 4 მილიმეტრიანი 15 ცალი 1,5/1,5, 1 ცალის ფასი 12 ლარი. მუხის კასრები სხვადასხვა ტევადობის 1 ლ. ფასი 30 თეთრი. ტელ. 68–82–09

ვამზადებ კომბინირებულ ყვითელი სიმინდის ბაზაზე. 1 კგ. სარეალიზაციო ფასი 17 თეთრი. ტელ. 96–10–50 თამაზი

იყიდება პერიოდული პროფილის არმატურა №18, ტონის ფასი 350 ლარი ტელ. 23-38-34

იყიდება 13 ათასი ცალი ცეცხლგამძლე აგური ხარაგაულში. 1 ცალის ფასი ადგილზე 70 თეთრი. ტელ. 74-37-11 ნოდარი. 39-92-64 არჩილი

იყიდება ახალი მტვერსასრუტი. ფასი 150 ლარი ტელ. 67-24-35

იყიდება ბინოკულიარული მიკროსკოპი, რომელიც გამოიყენება მეცნიერების ყველა დარგში. საწყისი ფასი 200 ლარი. ტელ. 62-04-84

სასწრაფოდ იყიდება როიალი კაბინეტის „სტენვეი" ზომა 185 სმ, იდეალურ მდგომარეობაში, №23.23.96. ჰამბურგი ნიუიორკი. ფასი 15000 დოლარი ტელ. 38-47-19

იყიდება ჰოლანდიური მეორადი ტანსაცმელი წონით ფასი 3-3,5 ლარამდე. ტელ. 96-69-75

იყიდება ახალი არაბული წარმოების სამეული, ანტიკვარულ სტილში, მუქ ფერებში, მასიური ხის ჩუქურთმებით. ფასი 1000 დოლარი ტელ. 61-11-39; 61-33-45

ვისაც სურს ფორტეპიანოს აწყობა ან რესტავრაცია. დარეკეთ ტელეფონზე 61-70-06

იყიდება კედელი „კაპრი" და საძინებელი გარნიტური „კლასიკა" თითოეული 3000$ დოლარი. ტელ. 31-61-70. ვაჟა-ფშაველას IV კვ. ბინა 6. მირიანაშვილი ირა.

## ავტომანქანა

იყიდება თეთრი ფერის ორკარიანი „ბმვ–316". ლუქით. კარგ მდგომარეობაში. ფასი 3000 დოლარი. ტელ. 96–69–75

## ქირავდება

ქირავდება გაგარინის მოედანთან კერძო სახლის I სართ. 100 კვ.მ საწყობად ან წარმოებისათვის. ფასი 200 ლარი ტელ. 37–47–16

ქირავდება 2 ოთახიანი არასტანდარტული გარემონტებული ბინა ჭავჭავაძის გამზირზე. ავეჯით და წყალგამაცხელებლით. ფასი 300 დოლარი. ტელ. 38–01–11

## ვასწავლი

მოვამზადებ საქართველოს ისტორიაში სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს, ბინაზე მისვლით, ფასი თვეში 25 ლარი. ტელ. 95–82–87 იკითხეთ ლევანი

ვამზადებ გერმანულ ენაში სწრაფად და საფუძვლიანად. ვთარგმნი და ვბეჭდავ გერმანულ და ინგლისურ ენაზე. ტელ. 99–47–42

ვამზადებ მოსწავლეებს ესპანურ ენაში. ფასი 20 ლარი ტელ. 61–00–84 მაია

## მადლობა

ულრმეს მადლობას მოვახსენებთ №3 სამშობიარო სახლის ახალგაზრდა ექიმ–გინეკოლოგს **ირინა ნანობაშვილს** მაღალი პროფესიონალიზმის, დიდი გულისხმიერებისა და სათნოებისათვის.

ახალშობილის მშობლები:
მაკა ჩხეიძე და ავთანდილ ჩხაიძე

## მილოცვა

ნანას და ლამარას ვულოცავთ გაზაფხულის მოსვლას. ეკა და ლელა.

პატარა ილია და რეზიკო მონავარდისაშვილებს დაბადების დღეს ულოცავენ მშობლები, ბებია და ბაბუები.

სოფიკო როდონაიას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

ეკა.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთ „თბილისის" მთავარ რედაქტორს, სოსო ჭუმბურიძეს დედის

**გალინა ჭუმბურიძის**

გარდაცვალების გამო.

### კაკო შერვაშიძის ხსოვნას



**ნახევარი** ჩვენგან და მოუშუშებელი იარა და გულის ტკივილი დაგვიტოვე. შენ არამარტო შენი ოჯახი დააობლე, არამედ მთელი შენი საძმო და სამეგობრო. ვიცით, რომ სამუდამოდ დაგვაკლდება შენი კეთილი ალერსი და ზრუნვა.

რით ვინუგეშოთ თავი? მხოლოდ იმით, რომ ხანმოკლე სიცოცხლე უმანკოდ და პატიოსნად გაატარე, ჩვენო საყვარელო და სანაქებო ვაჟკაცო!

გვჯერა, რომ შენ მუდამ ჩვენთან იქნები.

მადლი ჰფენოდეს შენს უმანკო სულს სამარადჟამო სასუფეველში.

ოჯახი

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93–18–41

## • რა, როდის და რომელ არხზე

### 20 მარტი, ხუთშაბათი

**1** 8.00 ალიონი. 10.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია. 18.00 „მოამბე". „მესაკუთრე". „მერიდიანი". ჰიგია. სპა. აჭარა. რამპა. 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". „ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი". პროგრამა „დღე". 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). მრავალსახეობა. „გაუმარჯოს მუსიკას"! 23.50 „ქვიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა, ელიტარული ქრონიკა. „ინტერვიუ". 22.00 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.30 რუსული მხატვრული ფილმი „ავი ძაღლი" (მთ.როლებში: მ.ტერეხოვა და მ.ბოიარსკი). პროგრამის დასასრულს – მუსიკა.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 2.15 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი". 12.00 მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ტრანსლაცია შვეიცარიიდან. 12.50 მოგზაურთა კლუბი. 13.40 სმაკი. 14.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კორტიკი". 15.30 ფეხბურთი, ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. 16.55, 23.40, 2.35 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტსერიალი. 17.45 მუსიკალური პროგრამა. 18.15 ჩუნგა–ჩანგას კუნძული. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები". 19.05 როკ–გაკვეთილი. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.20 „გოგონა, სახელად ბედი". 21.05 ამინდი; 21.10 პიკის საათი. 21.35 ჯენტლმენ–შოუ. 22.05 ჩემი ოჯახი. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ტრანსლაცია შვეიცარიიდან. 00.40 კინოკომედია „განძის წყურვილი". 2.25 პრეს–ექსპრესი. 3.40 „კრეკერის მეთოდი".

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი–მარკეტი. 10.20, 3.25 ტელემაღაზია. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო". 10.55 ძვირფასო რედაქციავ... 11.20, 12.55, 13.15, 3.15 პროდუქცია – ფოსტით. 11.30 საკუთარი თავის რეჟისორი. 12.05 „სანტა–ბარბარა". 13.25 საქმიანი რუსეთი. 15.05 ავტოგრაფი. 15.00 ქალი და მამაკაცი. 15.40 რეპორტიორი. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის საძებნელად". 17.35 უსასრულო მოგზაურობა. 18.00 საუკუნის ზღურბლზე. 18.25 ექსპოვესტნიკი. 18.30 ადამიანები, ფული, ცხოვრება. 19.15 ივანოვი, პეტროვი,სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ–ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო". 21.10 ჭეშმარიტების მომენტი. 21.40 რუსები. 22.35 საკუთარი თავის რეჟისორი. 23.15 „სანტა–ბარბარა". 00.10 ხვალის ამინდი. 00.15 საღამო მშვიდობისა. 1.30 მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ტრანსლაცია შვეიცარიიდან.

### პარასკევი, 21 მარტი

**1** 8.00 ალიონი. 10.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია. 18.00 „მოამბე". მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 50/50. 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". „ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი". ასპარეზი. პრეს–სტუდია. 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). 22.20 ლატარია ყველასათვის. ტელე–სინე–ვიდეო. 23.50 „ქვიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა. 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.00 ამერიკული მხატვრული ფილმი „ტყვია" (მთ.როლში მიკი რურკი). პროგრამის დასასრულს – მუსიკა.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 2.00 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი". 12.10 ჩემი ოჯახი. 12.50 სანამ ყველა შინაა. 13.25 დაუკარ, გარმონო! 14.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კორტიკი". 15.45 ჯენტლმენ–შოუ. 16.15 დაკარგულის ძიებაში. 16.55, 23.00, 3.50 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტსერიალი. 17.45 ფილმი–ზღაპარი „ძველი, ძველი ზღაპარი". 19.25 მაგია: ზებუნებრივი სამყარო. 20.20 „გოგონა, სახელად ბედი". 21.10 ამინდი. 21.15 ადამიანი და კანონი. 21.45 პოლე ჩუდეს. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „ყველაზე სახიფათო მატჩი". 1.15 ვზგლიადი. 2.15 მხატვრული ფილმი „სიკვდილი კინოში". 3.40 პრეს–ექსპრესი.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 სამედიცინო ცნობარი. 10.55 ძვირფასო რედაქციავ... 11.20, 12.55 პროდუქცია – ფოსტით. 11.30 L- კლუბი. 12.05 „სანტა–ბარბარა". 13.15 ლე მონტი. 13.30 საქმიანი რუსეთი. 14.10 რუსები. 14.25 ჭეშმარიტების მომენტი. 14.50 პალიხა, 14.55 ავტოგრაფი. 15.00 წყნარი სახლი 15.40 რეპორტაჟი არაფერზე. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის საძებნელად". 17.30 ოქროს ნიღაბი. 18.00 თანამემამულენი. 18.25 ექსპოვესტნიკი. 18.30 არენა სენსაციებისთვის. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ–ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო". 21.10 ორმაგი პორტრეტი. 21.40 რუსები. 22.35 L- კლუბი. 23.10 „სანტა–ბარბარა". 00.10 ხვალის ამინდი. 00.15 საღამო მშვიდობისა. 1.30 ღამის ექსპრესი. 2.10 მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ტრანსლაცია შვეიცარიიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორისტული სიუჟეტებიდან

## ახალი კოსტიუმი...

ომის პერიოდში შოთა ძიძიგურმა კოსტიუმი შეიკერა. რადგან მაშინ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოცვლა იშვიათად ხდებოდა, ეს ამბავი ვუკოლ ბერიძეს შინ უთქვამს. გავიდა რამდენიმე კვირა თუ თვე და ბატონი შოთა ბატონ ვუკოლის ოჯახში მივიდა. ვუკოლის მეუღლე ქალბატონი ლიზა (ელისაბედი) სტუმარს საზეიმო შეძახილით მიეგება:

– შოთა, მომილოცავს ახალი კოსტიუმი! – შემდეგ შოთას თავიდან ფეხებამდე ახედ-დახედა და დააყოლა:
– თუმცა, ამ ტანსაცმლის პატრონს ახალი კი უნდა გეყიდა!

არადა, ბატონ შოთას ის ახალშეძენილი კოსტიუმი სცმია!

## „მიქაძის“ დეპეშა ტაშკენტიდან...

ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გუგული (ვახტანგ) ბააკაშვილი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა იმ ფინალურ მატჩს დაესწრო, რომელიც 1964 წლის ნოემბერში ტაშკენტში ჩატარდა და ჩვენმა გუნდმა პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. გუგულიმ იქიდან ინსტიტუტს მოსალოცი დეპეშა გამოუგზავნა, ოღონდ არა თავისი, არამედ ინსტიტუტელი კოლეგის გივი მიქაძის ხელმოწერით. გუგული ტაშკენტში ისე წავიდა, დირექციისაგან ნებართვა არ აუღია. მაშინ შრომით დისციპლინას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და სამსახურის გამცდენი მკაცრად ისჯებოდა. მაგრამ გუგულის სხვისი სახელით დეპეშის გამოგზავნა ამისთვის არ დასჭირვებია. ხუმრობის მარილი ის იყო, რომ პროფესორი გივი მიქაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ეს შესანიშნავი მკვლევარი, გუგულის ძლიერი მეტოქე ჭადრაკში, ფეხბურთის მოყვარული არ გახლდათ, სტადიონზე აქ არ დადიოდა და ტაშკენტში მისი გაფრენა ინსტიტუტში ყველას გაუკვირდებოდა.

სანამ დეპეშას განცხადებათა დაფაზე გამოაკრავდნენ, მანამდე იგი ინსტიტუტის დირექტორს გიორგი ლეონიძეს გააცნეს. ბატონი გიორგი დეპეშამ ძალიან ალაშფოთა. საქმე ის იყო, რომ იმ ხანად სოხუმში ძმასთან ჩასული გივის მამა, ცნობილი მოღვაწე ვარლამ მიქაძე, ავად გამხდარა და ორიოდე დღის წინ გივის დირექტორისათვის სოხუმში წასასვლელად და მამის ჩამოსაყვანად რამდენიმე დღით სამსახურში გამოცხადებისაგან გათავისუფლება უთხოვია. დეპეშიდან კი ჩანდა, სოხუმის ნაცვლად, მას თავი ტაშკენტის სტადიონზე ამოუყვია.

გადის დღეები და გიორგი ლეონიძე დერეფანში მეგობრებთან მდგომ გივი მიქაძეს, ისე რომ არ მისალმებია, კუშტად ეუბნება, ჩემთან შემოდიო. .

– თუ ფეხბურთზე წასვლა გნებავდათ, პირდაპირ გეთქვათ, ამისთვის ვარლამს ავად რად ხდიდით? – კაბინეტში წარბშეკვრით აგრძელებს საყვედურს დირექტორი.

გივის ჯერ ის უკვირდა, რომ თავაზიანობითა და ყურადღებით გამორჩეული პოეტი დერეფანში მას არ მიესალმა და მამის ამბავი არ ჰკითხა, ფეხბურთის ხსენებისას კი სულ ტყემალზე შემოჯდა. როცა დეპეშის ამბავი გაიგო, არც გალიმებია, მთელი ძალით იცავდა თავს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მანამდეც ბატონ გიორგის, რატომღაც, ისე ჰქონდა შთაგონებული, რომ გივი ფეხბურთის გულშემატკივარ ახალგაზრდათა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც ყოველი მატჩის მეორე დღეს ინსტიტუტში გაუთავებლად მასზე მსჯელობდნენ და კამათობდნენ. რამდენიმეჯერ დანანებით კიდეც უთქვამს: ეს სერიოზული მეცნიერი, მიკვირს, როგორ არის ფეხბურთს ასე გადაყოლილიო. ამაზე ჩვენ შეფარვით ვიცინოდით და ერთხელაც არ ავუხსენით დირექტორს, რომ საქმე პირიქით იყო. ახლა დაბეჯითებით თქმა მიჭირს, მაგრამ ისიც სავარაუდოა, გუგულის ხუმრობა გარკვეულწილად დირექტორის ამ შეხედულებით იყო შთაგონებული.

ბატონი გიორგი დეპეშის გამო იმდენად იყო განაწყენებული და გაგულისებული, რომ ვერც გუგულიმ და ვერც სხვამ სიმართლის თქმა ერთხანს ვერ გაბედეს.

არადა, გივი იმ დროს ალექსანდრე ბარამიძესა და გაიოზ იმედაშვილთან ერთად გამალებით მუშაობდა „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის გამოსაცემად მომზადებაზე და დირექტორს მასთან მომდურება ხელს არ აძლევდა. რაც მოხდა, სიცილით მას შემდეგ აღიარეს, როცა ერთი წვეულებიდან შინ შექეიფებულნი ბრუნდებოდნენ, ბატონმა გიორგიმ ბატონ გივის ხელი გაუწოდა და უთხრა:

– კარგი, რაც იყო, იყო, შევრიგდეთო.

ბორის დარჩია

# კაიფვორდი



**თარაზულად:** 2. დამნაშავისადმი მისაყენებელი „სხეულის ნაწილი“; 5. ყარაული „რაჯა“; 7. ის, რაც ობლებისთვის გვიან ცხვება; 9. „მოზერის მსგავსი თურქთა სარდალი; 10. „დემოკრატი“ ბერძენი ფილოსოფოსი; 11. ხელსაყრელი სასიძოს აუცილებელი ატრიბუტი (ფილმ. კავშ.); 13. „ვატებში“ გაზომილი სახელმწიფო რომში; 14. ყანთელი გმირი; 15. „ორმაგი“ ლარი; 16. „თმამრავალი“ ავადმყოფობა; 20. მილიონრების „მოხტუნავე“ პატარა გემი; 21. ის, რაც აბანოში ხაოიანი ჯობია, ჯიბეში კი სავსე; 24. ხორბლისა და ჰოკეის ქვეყანა; 25. თეთრ კბილებიანი, შავი კაცი; 27. კოლუმბის აღმოჩენილი „ინდოეთი“; 29. სარეცხი საშუალება, რომელსაც „გაძლევენ“ (რუს.კავშ.); 30. „მოსიარულე“ ჭრილობა; 33. „ზარიანი“ დანაკარგი; 35. კარტის „დაბურული“ თამაში; 36. რუსული ქალაქის „სამარიდან“ აღმდგარი სახელწოდება; 37. „გამოსახრავი“ უფსკრული; 38. აყალმაყალი, სადაც ბევრს „ქოთები“ უწევს.

**შვეულად:** 1. „მოსაპირკეთებელი“ ზღვა ხმელთაშუასა და შავ ზღვებს შორის; 2. „პირამიდა“, სადაც ლენინია გამომწყვდეული; 3. მცენარე, რომლის ფოთლებსაც ადამი და ევა ტანსაცმლად ხმარობდნენ; 4. გულის გადასაყოლებელი „კრიალა“ მძივი; 6. „საამო ნალი“, რომლითაც კლდეებსაც ანგრევენ; 8. ფლოტის გენერალი; 9. „ქუდიანი“ პისტოლეტი; 12. ის არის, როგორც „კოკისპირული“ ასევე „ჟუჟუნა“; 15. „დანით“ შეიარაღებული სახელმწიფო ევროპაში; 17. ობობას ბადე, რაზეც „ბუდა“ ლოცულობს; 18. სტანდარტული , შესადარებელი „ტალონი“; 19. „სიმონების“ სოფელი იმერეთში; 22. „კარგ ამინდში თევზის მჭამელი“ დამკვრელთა გუნდი; 23. „ჭიიანი“ საკრავი; 24. სექსუალური შიფერი; 26. დარტანიანის ძმაკაცი, რომელიც საკითხავია იყო თუ არა მისი; 28. ძვირფასი თვალი „სამეგრელოდან“, ის შეიძლება იყოს ობოლიც; 29. ყაჩაღების გადამგდები „ბაბა“; 31. „შობილი“ მოთელილი მოსასხამი; 32. მეფე, რომელიც უწინ ოქროს ხანას, ახლა კი გორის შამპანურს გვაგონებს; 34. მწერი, რომელიც ხრავს და ხრავს.

აკაკი ცოტაძე

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

ვათაძე – 39 (ლანჩხუთი – 6; ოზურგეეთი – 5; ბათუმი – 1);
ვალიაური – 24 (გორი – 15; თბილისი – 9);
ვალიაშვილი – 29 (თბილისი – 14; რუსთავი – 8; მცხეთა – 2);
ვანეშვილი – 32 (ახმეტა – 17; თბილისი – 3; ადიგენი – 2);
ვარაზიშვილი – 39 (თბილისი – 21; საგარეჯო – 6; რუსთავი – 4);
ვარდაშვილი – 30 (რუსთავი – 14; დედოფლისწყარო– 5; თბილისი – 3);
ვატიტაძე – 27 (გორი – 14; თბილისი – 13;)
ვაყელაშვილი – 26 (თელავი – 22; ადიგენი – 1; რუსთავი – 3);
ვაშაკაშვილი – 47 (თელავი – 39; თბილისი – 4; გორი – 3);
ვაშნაძე – 50 (ოზურგეთი – 49; ქუთაისი – 1);
ვაცაძე – 20 (რუსთავი – 16; თბილისი – 1; მოსკოვის ლტოლვილი – 1);
ვაჭრაძე – 24 (ბაღდათი – 11; ოზურგეთი – 4; თბილისი – 3);
ვახრამიშვილი – 22 (ადიგენი – 12; ახალციხე – 7; თბილისი – 3);
ვეზდენიძე – 47 (კოდორის ხეობა – 15; მესტია – 11; თბილისი – 9);
ვეზირიშვილი – 45 (თბილისი – 41; რუსთავი – 1; ჩხოროწყუ – 3);
ვერსალიძე – 38 (ოზურგეთი – 38);
ვერხვიაშვილი – 43 (თბილისი – 27; აბაშა – 14; ფოთი – 2);
ვეფხიაშვილი – 20 (თელავი – 7; თბილისი – 3; რუსთავი – 2);
ვეშაგურიძე – 32 (ახმეტა – 25; თბილისი – 4; თელავი – 1).

## ● კალეიდოსკოპი

### თუთიყუშმა „ჩაუშვა“

მუჰამმედ ფაისალ კანმა ყარაჩიში 3 კილო და 320 გრამი ჰეროინი შეიძინა, ცელოფნის პარკებში გაანაწილა და წელზე პატრონტაჟივით შემოირტყა; საძილე აბები კი, რადგანაც ტანზე ოფლისაგან ადვილად შეიძლება გაფუჭებულიყო, ჩანთაში ჩააწყო.

ფაისალ კანი ათათურქის აეროდრომზე მაშინ მივიდა, როცა პოლიციელები ვიღაცის დაკარგულ თუთიყუშს გულმოდგინედ დაეძებდნენ და ყველას ჩხრეკდნენ. მათ პაკისტანელი კანის ჩანთაში წამლები ნახეს, ხოლო შემდეგ ჰეროინიც უპოვეს. 25 წლის დიპლომატიური კურიერი დააპატიმრეს, ხოლო აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მისი დაკითხვები ჯერაც არ დამთავრებულა.

ასე შეიწირა თუთიყუშმა დიპლომატიური მისიის წარმომადგენლის თავისუფლება.

(თურქული გაზეთი Hurriyet- ი, 25.V.96).

### ციდან გაყინული ადამიანის გვამი ჩამოვარდა

აშშ-ს ქალაქი Miam- ი დაუჯერებელმა ამბავმა შესძრა. ეს ამბავი, რომელმაც გამოცდილი დეტექტივებიც კი განაცვიფრა, სალაპარაკო თემად იქცა.

ამას წინათ დილით სამუშაოზე მიმავალმა ხალხმა ქალაქის შუა პროსპექტზე ადამიანის სხეულის ნაწილები შენიშნა, რომელიც მამაკაცისა უნდა ყოფილიყო. ამისმა მნახველებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ. თავიდან მათ ჩათვალეს, რომ კაცს მანქანა დაეჯახა და მძღოლი მიიმალა, მაგრამ პირველივე შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ გვამის ნაწილები ზუსტად ყინულის ნამსხვრევებს მიესადაგებოდა და ის დიდ სივრცეზე იყო მიმოფანტული; ამიტომ გამორიცხული იყო საგზაო უბედური შემთხვევა. ამასთან, ირგვლივ არც ფარებისა და შუშების ნამსხვრევები ეყარა და გვამზე მანქანის სალებავის კვალიც კი არ ჩანდა.

პოლიცია და სამედიცინო ექსპერტიზა გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდა; ამის მიუხედავად დადგინდა, რომ ნამსხვრევებად ქცეული გვამი, რომელიც დიდ სივრცეზე იყო გაშლილი, მიწას დიდი სიჩქარით, 190 კმ/საათში დაასკდა.

პოლიციის ექსპერტების ვარაუდით, ეს იდუმალი გვამი თვითმფრინავზე უბილეთო მგზავრობის მცდელობის შედეგია. ქალაქ Miam-ის აეროდრომზე ვიღაც მგზავრი უჩუმრად შეძვრა თვითმფრინავის ბორბლებს შორის და დაიმალა. როცა თვითმფრინავმა სიმაღლე აიღო, კაცი გაიყინა და ძირს დაენარცხა.

(თურქული გაზეთი Hurriyet- ი, 25.V.96).

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444